2013 წელი, 28 ნოემბერი – 4 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

ახალი განათლება

№36 (630) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ოჯახი ყველა ბავშვისთვის

რეფორმის ძირითადი მიღწევები და შემდგომი ნაბიჯები

გვერდი 3

გერმანელებმა იციან, რომ მათი უფლებები იქ მთავრდება, სადაც შენი უფლებები იწყება

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია
მანია ხუციშვილი

გვერდი 4

საატესტატო გამოცდა

ქიმიური რეაქციები

გვერდი 6

სასერტიფიკაციო გამოცდა

გეოგრაფიის პედაგოგთა დასახმარებლად

სადისკუსიო თემის განსაზღვრა

გვერდი 7

საერთაშორისო კვლევა

TIMSS 2011 – ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე მათემატიკაში

გვერდი 8

2014 წიგნიერების წელი

საქართველოში მწიგნობრობის კულტურას თხუთმეტსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო კვლევების მიხედვით, დღეს ქვეყანაში წიგნიერების დონე საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.

იმისათვის, რომ ვითარება გამოსწორდეს, აუცილებელია, შემუშავდეს გრძელვადიანი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი საჭიროებები და წიგნიერების განვითარების სფეროში დაგროვილი მსოფლიო გამოცდილება.

2013 წლის 21 ნოემბერს, გამომცემლობა „დიოგენეს“ ინიციატივით და მხარდამჭერი ორგანიზაციების მონაწილეობით, დაიწყო კამპანია, რომლის ამოცანაა საქართველოში 2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადება. ამ მიზნით, შეგროვდება საქართველოს მოქალაქეთა ხელმოწერები სპეციალურ პეტიციაზე, ჩატარდება აქციები და კონკურსები. პეტიციაზე ხელმოწერის კამპანია 2013 წლის ბოლომდე გაგრძელდება.

2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადება შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი ინტერესის ფოკუსირებას განათლებისა და კულტურის საკითხებზე. ნებისმიერ მოქალაქეს, სახელმწიფო სტრუქტურასა თუ კერძო ორგანიზაციას გაუჩნდება უფრო ძლიერი მოტივაცია და სასიამოვნო ვალდებულება, რომ განახორციელოს კონკრეტული იდეები და თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოში წიგნიერების განვითარების საქმეში.

კონკურსი „ვკითხულობთ რუსთაველს“ იუბილარია

წელს უკვე მეათედ ტარდება კონკურსი „ვკითხულობთ რუსთაველს“. პროექტი თავიდან მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით ხორციელდებოდა, ამჯერად უკვე მეორე მცდელობაა, გავსცდეთ საქართველოს საზღვრებს – გარდა სომხეთისა და აზერბაიჯანის საგანმანათლებლო სივრცისა – სასწავლებლებისა, გვსურს ინგილოებთან ერთად კონკურსში ჩავრთოთ იმერხევის ქართველობაც – გურჯები, თურქეთში მცხოვრებნი, რომლებიც საკვირაო სკოლებში ეუფლებიან ქართულ ენასა და ლიტერატურას, ეცნობიან მამაპაპისეულ კულტურას, მშობლიური ხელოვნების ნიმუშებს.

ნლევანდელი კონკურსი თამარ მეფის საიუბილეო თარიღს ეძღვნება. ამდენად, კონკურსის ტრადიციული პირობა გარკვეულ დამატებებს ითვალისწინებს. როგორც ყოველთვის:

ა) კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ, 3-5 წუთის რეგლამენტში, სასურველ ენაზე წარმოადგინონ შერჩეული ეპიზოდები, ინსცენირება, ამ პოემისადმი დამოკიდებულება: ესსეს, ჩანახატის, პოეტური ნამუშევრის სახით. ასევე, ხელმარჯვეთა მიერ შექმნილი ნამუშევრები: ნახატი, ნაძერწი, ხატწერითი ვერსიები, ჭედური ნივთები;

ბ) თავისუფალი თემა: „ისტორიული სიმართლე – მეფე თამარი“, „მსოფლიო ლიტერატურა და ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“.

მონაწილეთა შეფასებისას, „რანი ვიყავით და რანი ვართ“, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მხატვრული კითხვის ხელოვნებას, პოემის ცოცხალ სიტყვაში გარდასახვას, ბგერათა სწორად და გარკვევით გამოთქმას, არაქართველთა მიერ ქართული ენის ფლობის ტექნიკას, სამსახიობო უნარ-ჩვევებს.

პროექტის ორგანიზატორები (თბილისის №24 საჯარო სკოლა, რუსთაველის კლუბი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი) თხოვნით მიმართავენ საქართველოს ქალაქების თუ რაიონების რესურსცენტრებს, ადგილზე უზრუნველყონ კონკურსში მონაწილეთა შერჩევა.

ასევე, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის განათლების პროფკავშირის ლიდერებს, ხელი შეუწყონ კონკურსის დებულების საგანმანათლებლო დაწესებულებამდე თუ საკვირაო სკოლამდე მიტანას, გაცნობა-განმარტებას ღონისძიებაში ჩართვის მიზნით.

პროექტში მონაწილეობის მსურველებმა, **არაუგვიანეს 20 დეკემბრისა**, უნდა წარმოადგინონ (პირადად ან ელექტრონული ვერსიით) განაცხადი შემდეგი ინფორმაციით: სკოლის იურიდიული მისამართი; კონკურსში ჩართულ მასწავლებელთა და მოსწავლეთა სია; საკონტაქტო ნომერი (ტელეფონის); ინფორმაცია შერჩეული ნომინაციის შესახებ.

კონკურსში მონაწილეთა შერჩევა დაიწყება 1 თებერვალს და გაგრძელდება 10 აპრილამდე. კონკურსის II ტური გაიმართება 15 აპრილს. დასკვნითი ტური და კონკურსანტთა დაჯილდოება – 14 მაისს (თამაროობას), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში.

განაცხადი წარმოადგინეთ მისამართზე:
თბილისი, №24 საჯარო სკოლა, ბაქოს ქუჩა №1
საკონტაქტო პირი – პროექტის ხელმძღვანელი თამარ ბარისაშვილი
ტელეფონი: 577 24-77-67; e-mail: BarisashviliTamar@gmail.com

სადისკუსიო კლუბი

გამოხმაურება

გაზეთ „ახალი განათლების“ მიერ დაწყებული რუბრიკა „სადისკუსიო კლუბი“ ქართული ენის გრამატიკის სწავლების საკითხს ეხმიანება. მე, როგორც ამ საგნის მასწავლებელს, ეს თემა დიდი ხანია მაღელვებს და მაწუხებს. გამახარა ამ რუბრიკის გამოჩენამ გაზეთის ფურცლებზე. იქნებ ყველამ ერთად ამოვიღოთ ხმა, რათა მივხედოთ „ჩვენს მივიწყებულ გრამატიკას და ძველი ადგილი დავუმკვიდროთ“ (აზა ქადარია).

წლებია მაწუხებს კითხვა, ვის ან რატომ დასჭირდა აკაკი შანიძის და ლეო კვაჭაძის სახელმძღვანელოების უგულებელყოფა; რა ცოდნას მისცემს მოსწავლეს ლიტერატურის სახელმძღვანელოში არათანმიმდევრულად და არასაკმარისად მოცემული გრამატიკული მასალა. თუ მოსწავლეს სკოლის დამთავრების დროს ან აბიტურიენტს გამოცდების ჩაბარებისას პროგრამა გრამატიკის საკითხების სრულყოფილად ცოდნას სთხოვს, რატომ ვერავინ ხედავს შეუსაბამობას უკვე ნასწავლსა და მოთხოვნას შორის. არადა საგამოცდო ტექსტების შემქმნელებმა კარგად უნდა იცოდნენ ამ შეუსაბამობის შესახებ.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას საერთოდ მეტი მხარდაჭერა და ხელისშეწყობა სჭირდება მთავრობის მხრიდან. საათების ის რაოდენობა, რომელიც ამჟამად აქვს დათმობილი, არასაკმარისია. საბჭოურ ეპოქაშიც კი უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა ამ საგნის სწავლებას, საათების რაოდენობაც მეტი იყო, გრამატიკა ცალკე ისწავლებოდა და კურსიც უკეთ იყო ჩამოყალიბებული. დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში უკეთესი პირობები უნდა შექმნილიყო ამ მხრივ.

არ იფიქროთ, რომ საბჭოთა ეპოქას მივტირი და მომავლის იმედი არ მაქვს. ჩემი ასაკისა და გამოცდილების გამო შემიძლია ერთმანეთს შევადარო ძველი და ახალი და დასკვნებიც გამოვიტანო. ყველა სიახლეს ვუბამდი მხარს, ორივე ეტაპის სერტიფიკატი მაქვს (I-VI და VII-XII კლასების) აღებული, მომწონს რეფორმები განათლების სისტემაში, მაგრამ აქ დასმულ საკითხებს ერთობლივი ყურადღება და ჩვენი შვილების სასიკეთოდ მოგვარება სჭირდება.

V კლასიდან IX კლასის ჩათვლით გრამატიკის სრულ კურსს ვასწავლიდით. ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. გრამატიკის დარგები – ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი – ისე იყო განაწილებული, რომ ნათელი, მკაფიო წარმოდგენა ექმნებოდა მოსწავლეს. წიგნი და პროგრამა ერთმანეთს მიყვებოდა, საკითხები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში იყო.

ამჟამად ლიტერატურის სახელმძღვანელოებში ყოველგვარი სისტემა უგულებელყოფილია და გრამატიკის საკითხებზე ერთიანი თანმიმდევრული ცოდნის მიღება შეუძლებელია. VIII და XI კლასის სახელმძღვანელოებში ძირითადი აქცენტი გადატანილია ლიტერატურის თეორიის საკითხებზე და მართლწერაზე. აქ განხილული საკითხები ლიტერატურულ ტექსტთან არის კავშირში და მას ეხმიანება. ეს სულაც არ არის ცუდი. ყველა აქ განხილული საკითხი სჭირდება მოსწავლეს, აღრმავებს მის ცოდნას, მაგრამ ამას ვერ დავარქმევთ გრამატიკის სწავლებას. მასალა, რომელიც ლიტერატურის სახელმძღვანელოებშია გრამატიკის კუთხით, უნდა დარჩეს, გრამატიკის სისტემური კურსი კი ცალკე უნდა აღდგეს.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, გრამატიკის სისტემატური კურსის სწავლებიდან ამოღების დღიდან, სწუხან ამის გამო, პირად საუბრებში გამოხატავენ უკმაყოფილებას, მაგრამ ერთიანი ოფიციალური პოზიცია არ ჩამოყალიბებულა. სათქმელი უფრო მკვეთრად უნდა ითქვას და ვითარება სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

წინ დაიდეთ პროგრამა აბიტურიენტთათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში. შემდეგ თვალი გადაავლეთ სახელმძღვანელოებს და მიხვდებით, რა სავალალო მდგომარეობაა ქართული ენის გრამატიკის სწავლების მიმართულებით. მიკვირს, რომ ამ საკითხს არ გამოხმაურებია მშობელთა დიდი არმია და მშვიდად, წყნარად მიდის პროცესები: მოსწავლეები გრამატიკის ძალიან მწირი ცოდნით ამთავრებენ სკოლას, აბიტურიენტები ამ ბაზაზე აბარებენ გამოცდებს (გასაკვირია, რას აბარებენ) და შემდეგ ისმის საუბარი მართლწერისა და მართლმეტყველების დაბალ დონეზე. ამის მიზეზებს არავინ იკვლევს, შედეგები კი უარესდება და უარესდება.

მინდა დისკუსიაში უფრო ფართოდ ჩაერთონ ჩემი კოლეგები. იქნებ მაშინ მაინც გამოიჩინონ მეტი ყურადღება და ინტერესი მათ, ვის ხელშიც საკითხის გადაწყვეტის პრეროგატივაა.

მაყვალა სერგია
აბაშა, სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“

ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნების, შრომის ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გეგმის მიხედვით (იხ. **საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა)**, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი ძირძველი ტრადიცია, რომელიც უკავშირდება ხელსაქმეს ან ხელოსნობას. ასეთი შეიძლება იყოს:

ძსოვა (მათ შორის სამოსის, მისი ატრიბუტების, საყოფაცხოვრებო ნივთების: სუფრა, ხურჯინი, ფარდაგი, ხალიჩა და სხვა) – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ძარგვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ნაგდის მოთელვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

თექა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ძაფის დართვა და შელეგვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

გუნებრივი საღებავების გამოყენება – მათი მოპოვების და დამუშავების ტექნიკა, მასთან დაკავშირებული რიტუალები;

თოჯინებისა და სათამაშოების დამზადება – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, მნიშვნელობა და გამოყენების წესები;

საკრავების დამზადება – ნედლეული, მისი მოპოვება, მომზადების ტექნოლოგია, მასთან დაკავშირებული რიტუალები, ინსტრუმენტები, ტრადიციები;

ხის სამშენებლო მასალის გამოყენების ტრადიციული ხერხები – ხის შერჩევის, მოჭრის, გამოშრობის, მასალის დამზადების ტრადიციული მეთოდები (ყავარი, აივნის ჭვირული, მუშარაბი, ოდა, ფაცხა, მესერი და სხვა), მასთან დაკავშირებული რიტუალები, ატრიბუტები და ინსტრუმენტები;

ხის ნაკეთობები (ავეჯი, საყოფაცხოვრები ნივთები, სკივრი, გობი და სხვა) – მასალის შერჩევის, დამზადების ტრადიციული მეთოდები, მასთან დაკავშრებული რიტუალები, ატრიბუტები და ინსტრუმენტები;

ხეზე დეკორატიული კვეთა – ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერი, საღებავი, მასთან დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

წნულის ხელოგა (საყოფაცხოვრებო ნაგებობები, ღობე, საოჯახო ატრიბუტები, სარიტუალო და სხვა ნაკეთობები) – ნედლეული და მისი მოპოვება, წნულის დამზადების ტექნოლოგია და დიზაინი, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, ტრადიციები და რიტუალები;

ლითონის დამუშავება (საყოფაცხოვრებო ნივთები, საბრძოლო ინვენტარი, სამკაული და სხვ.) – ნედლეული, ტრადიციული მოპოვებისა და დამუშავების ხერხები, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და რიტუალები;

ლითონის დეკორატიული დამუშავება – ნედლეული, ორნამენტი, დამზადების ტექნოლოგია, და ინსტრუმენტები, ფერები, ნედლეული, დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

თიხის დამუშავება (სამშენებლო მასალა, საყოფაცხოვრებო ნივთები: ჭურჭელი, ქვევრი, თონე და სხვა) – სხვადასხვა მიზნით თიხის მოპოვების, მომზადების, გამოწვის ტრადიციები, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და რიტუალები;

ჭიქური – ინსტრუმენტები, ფერი, საღებავი და სხვა ნედლეული, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

ქვის სამშენებლო მასალის გამოყენების ტრადიციული ხერხები – კარიერები, მოპოვება, ტრანსპორტირება, ინსტრუმენტები, რიტუალები და ატრიბუტები;

ქვაზე დეკორატიული კვეთა – ინსტრუმენტები, ნედლეული, ორნამენტი, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

სხვა რამ, რაც უკავშირდება ხელსაქმესა და ხელოსნობას.

გადმოგზავნის ვადაა 2014 წლის 1 თებერვალი.

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი;*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი;*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი);
7. ტექნოლოგიის მოკლე აღწერა.

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

❖ *რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

❖ *ტრადიციული და ამჟამინდელი (თუ განსახვავებულია) სახელწოდება;*

❖ *ზოგადი აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ მზადდება/გამოიყენება/სრულდება;*

❖ *დამზადების/შესრულების ტექნოლოგია – ნედლეული მასალა, მისი შერჩევა, მოპოვება, დამუშავება, ტრანსპორტირება, ნიმუშის დამზადების ტექნოლოგიის აღწერა, დამზადების ინსტრუმენტები, სხვა საჭირო ატრიბუტები და გარემოებები (წელიწადის დრო, ამინდი, ა.შ);*

❖ *ორნამენტი;*

❖ *შემსრულებლები (მეთუნე, მქარგავი, ხურო და ა.შ), მათი წეს-ჩვეულებები და რიტუალები;*

❖ *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის პრაქტიკირებისათვის;*

❖ *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან სამეურნეო, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისათვის.*

სასურველია არ აღემატებოდეს 400- 500 სიტყვას.

წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), დამატებით ასევე შესაძლებელია ჩანახატის, ჩანახაზის, შაბლონის, სქემის, ესკიზის და სხვა თვალსაჩინო მასალის წარმოდგენა.

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში – (32)298-39-24, 13 საათიდან 15 საათამდე ან 599 62 34 99
aramaterialuri@yahoo.com
მაპა თბილისი, კიბე ნაცვლიანი, კიბე ნაცვლიანი
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საგენტო

კონფერენცია

ოჯახი ყველა ბავშვისთვის

რეფორმის ძირითადი მიღწევები და შემდგომი ნაბიჯები

ლალი ჯელაძე

„ყველა ბავშვს აქვს ოჯახურ გარემოში ცხოვრების უფლება“ – გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მიერ აღიარებული ეს უფლება, ბუნებრივია, მხოლოდ ფურცელზე დაწერილ უფლებად არ უნდა დარჩეს იმ 193 ქვეყნისთვის, რომლებმაც, ამ კონვენციაზე მიერთებით, მისი შესრულების ვალდებულება აიღეს. ეს ვალდებულება საქართველომ 1994 წლიდან აიღო და, შესაბამისად, სახელმწიფო ცდილობს მის შესრულებას, თუმცა წინ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა. არსებული პრობლემების მიუხედავად, ბავშვზე ზრუნვის რეფორმის სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესია. ამჟამად, საქართველოში სახელმწიფო მმართველობაში მყოფი მხოლოდ სამი დიდი ზომის ინსტიტუციაა მაშინ, როდესაც 2009 წელს ჯერ კიდევ 41 იყო. იქ მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობა 4600-დან 109-მდე შემცირდა. რეფორმა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef) და სხვა პარტნიორების მხარდაჭერით.

რა მიღწევებია ამ წლების განმავლობაში და რა გამოწვევები რჩება ხელისუფლების წინაშე – ამ კითხვებს გასცა პასუხი, 26-27 ნოემბერს, საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც ორგანიზებული იყო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის, იუნისეფისა და USAID-ის მიერ. მონაწილეებმა ბავშვზე ზრუნვის რეფორმის მიღწევები მიმოიხილეს, კონფერენციის სახელწოდებაც სწორედ ბავშვთა ოჯახურ გარემოში ცხოვრების უფლებას ეხებოდა. ვრცლად განიხილეს ყველა ასპექტი, თუ როგორ ასრულებს სახელმწიფო ბავშვზე ზრუნვის რეფორმას.

ორდღიანი კონფერენციის დიდი ნაწილი რეფორმის მიღწევებს დაეთმო, იმავდროულად, მომდევნო ნაბიჯებიც განისაზღვრა. რეფორმასთან დაკავშირებულ, ძირითად სახელმწიფო თუ არასახელმწიფო პარტნიორებთან, ქართველ და საერთაშორისო ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ერთად, კონფერენციის მონაწილეთა შორის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს რამდენიმე ქვეყნის სამთავრობო დელეგაციაც იყო.

იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში, **საშა გრაუმანმა** განაცხადა: *„საქართველოს შეუძლია იამაყოს საკუთარი მიღწევებით ბავშვთა დიდი ზომის სამზრუნველო ინსტიტუციების გაუქმებისა და ყველა ბავშვისთვის ოჯახურ გარემოში აღზრდის შესაძლებლობის უზრუნველყოფის სფეროში. დიდი ზომის ინსტიტუციების ნაცვლად, ბავშვების უმეტესობა ახლა ოჯახურ გარემოში ცხოვრობს, რაც გადამწყვეტია მათი უფლებების რეალიზაციისთვის. თუმცა, კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს სოციალური დაცვის მექანიზმი, რომ მოხდეს ბავშვთა მიტოვების პრევენცია, გაძლიერდეს ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვის ალტერნატიული ფორმები და დახმარება გაეწიოს სოციალურად დაუცველი ბავშვების უფრო მეტ ჯგუფს“.*

2005 წლიდან ბავშვზე ზრუნვის სფეროში ყოვლისმომცველი ცვლილებები განხორციელდა სისტემის ყველა დონეზე, რათა ბავშვები მხოლოდ აუცილებელი მიზეზების გამო მოხვდნენ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ. აღნიშნული სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია, ბავშვებისთვის ინსტიტუციური მზრუნველობა უკანასკნელ ზომად განიხილებოდეს და სახელმწიფო და არასახელმწიფო მზრუნველობით დაწესებულებებში მათი ცხოვრება რაც შეიძლება მოკლევადიანი იყოს. საქართველოს კანონმდებლობაში განსაზღვრულია რეზიდენტული მომსახურებების ლიცენზირება და მონიტორინგის მოთხოვნები, მაგრამ ეს მოთხოვნები, ჯერჯერობით, არ ეხება ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფ ინსტიტუციებს.

სწორედ ამ მიზნით დაიწყო დიდი ზომის ინსტიტუციების ოპტიმიზაცია, რომლის შედეგად თითოეულ ბავშვს მიეცა შესაძლებლობა, აღიზარდოს ოჯახურ ან ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ გარემოში.

2009 წლიდან 2013 წლამდე პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი იყო ამ მიმართულებით. საქართველოს მთავრობა ხელმძღვანელობდა 2008-2011 და 2012-2015 წლების ბავშვთა ეროვნული სამოქმედო გეგმებით და წინ წამოსწია პროცესები, რომლებიც ფოკუსირებული იყო შემდეგ საკითხებზე: დიდი ზომის ინსტიტუციების თანმიმდევრული ოპტიმიზაცია/დახურვა; სოციალური დაცვისა და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება ბავშვთა მიტოვების პრევენციისათვის; მზრუნველობის ალტერნატიული ფორმების განვითარება მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის. ამჟამად, საქართველოში სახელმწიფო მმართველობაში მყოფი მხოლოდ სამი დიდი ზომის ინსტიტუციაა (თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი და ორი ბავშვთა სახლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის). შედარებისთვის, 2009 წლის დასაწყისში 41 სახელმწიფო ბავშვთა სახლი ფუნქციონირებდა. 2013 წლის ივლისში დაიხურა ორი ბავშვთა სახლი მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის. დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობა 4600-დან 120-მდე შემცირდა. ამ 120 ბავშვის უმეტესობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა.

იმ 4600 ბავშვიდან, რომლებიც 2008 წელს ბავშვთა სახლებში ცხოვრობდნენ, ასევე იმ ბავშვებიდან, რომლებიც შემდეგ მოხვდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ, 2300 ბიოლოგიურ ოჯახს დაუბრუნდა, 1600 შვილობლობაში განთავსდა, 700 მცირე ზომის საოჯახო სახლებში გადავიდა.

გარდა ამისა, 4000 ბავშვი განთავსდა მეურვეობა/მზრუნველობის ქვეშ და, შესაბამისად, განხორციელდა მათი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მოხვედრის პრევენცია.

2010 წელს მთავრობამ დანერგა ე.წ. რეინტეგრაციის პაკეტი ოჯახებისათვის, რომლებიც (სოციალური მუშაკების მიერ შეფასებისა და რეკომენდაციის საფუძველზე) საკუთარ შვილებს იბრუნებენ. ეს პაკეტი მოიცავდა თითო ბავშვზე, თვეში, 50 ამერიკული დოლარის ოდენობის დახმარებას, სამედიცინო დაზღვევას და, საჭიროების შემთხვევაში, დღის ცენტრის უფასო მომსახურებას. ასევე გაფართოვდა და გაძლიერდა შვილობილობის კომპონენტი. ამჟამად, 1070 ბავშვია განთავსებული მინდობით აღზრდაში (რეგულარული, სპეციალიზებული და გადაუდებელი), მათ შორის 100 განსაკუთრებული საჭიროებების მქონე.

იმ ბავშვებისათვის კი, რომლებიც თავიანთ ოჯახებში ვერ ბრუნდებიან და ვერ თავსდებიან მინდობით აღზრდაში, არსებობს მცირე საოჯახო ტიპის სახლები, განკუთვნილი არაუმეტეს 8-10 ბავშვისათვის. ამ ტიპის სახლებმა ჩაანაცვლა ყოფილი დიდი ზომის სახელმწიფო ინსტიტუციები. ამ დროისათვის, საქართველოში, დაახლოებით, 350 გოგო-ბიჭი ცხოვრობს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.

ბავშვთა მზრუნველობის სისტემის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტი სოციალური საშუალოს გაძლიერებაა. რეინტეგრაციის პაკეტის შემოღების შემდეგ სოციალურმა მუშაკებმა ხელი შეუწყვეს, დაახლოებით, 1000 ბავშვის ბოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას. რეინტეგრირებული ბავშვები მათი მხრიდან მუდმივი მონიტორინგის ქვეშ იმყოფებიან. ასევე, სოციალურ მუშაკთა მეთვალყურეობის ქვეშ არიან მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსებული ბავშვებიც.

პროცესის ხელშეწყობისა და მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა ბავშვზე ზრუნვის საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც შედიან ძირითადი დონორები, შესაბამისი სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მთავრობის ძლიერ პოლიტიკურ ნებაზე დაყრდნობით, UNICEF-ის, USAID-ისა და სხვა მხარეების ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, მდგრადი შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი გარემო შეიქმნა.

ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმას გასდევს ძლიერი ადვოკატირებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელიც ოჯახური ზრუნვის მნიშვნელობაზე და ინსტიტუციური მზრუნველობის საზიანო შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას. კამპანია მოიცავს: დოკუმენტური ფილმების გადაღებასა და ჩვენებას; ბილბორდების დამზადებასა და განთავსებას; ტრენინგებისა და მრგვალი მაგიდის მოწყობას ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის.

სწორედ ამ შედეგების საფუძველზე, საშა გრაუმანმა საქართველოს მთავრობას ბოლო წლების მიღწევები მიულოცა და რეფორმის პროცესში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, რომელმაც, 2009 წლიდან დღემდე, 6 მილიონი აშშ დოლარი ჩადო ბავშვთა დაცვის სისტემის გაძლიერებაში.

ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის პირველი ფაზა ყველაზე დიდი შედეგით – ბავშვთა სახლების დახურვით დასრულდა. როგორც იქნა, წარსულს ჩაბარდა საბჭოთა სისტემის გადმონაშთი დაწესებულებები, რომელიც ბავშვს ინდივიდუალური განვითარების საშუალებას არ აძლევდა.

საქართველოს მთავრობისთვის, რასაკვირველია, კვლავ პრიორიტეტულია ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმირება იმისათვის, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა, იცხოვროს და აღიზარდოს ოჯახურ გარემოში. რადგან დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი დასასრულს უახლოვდება, ბავშვზე ზრუნვის რეფორმის ფოკუსი ფართოვდება და შეეხება სხვა დაუცველ ჯგუფებსაც, ისეთების, როგორებიცაა: ძალადობის მსხვერპლი, არასახელმწიფო ინსტიტუციებში ან ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები. სისტემური ცვლილებები, რომლებიც ამ დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერას ითვალისწინებს, ასახულია ახალ, 2013-2015 წლის, ბავშვთა სამოქმედო გეგმაში. ეს გეგმა ჩვენს ქვეყანაში ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური კეთილდღეობის რეფორმის ახალ ეტაპს წარმოადგენს.

„საქართველოს მთავრობა გააკეთებს ყველაფერს, რომ მომავალი წელი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცეს სწორედ ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით“ – განაცხადა კონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ **ეკა ბესელიამ** და სურვილი გამოთქვა, რომ 2014 წელი საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოცხადდეს: *„ჩვენ გვქონდა ძალიან მძიმე სტატისტიკა. გაეროს ეგიდით ჩატარებული კვლევის შედეგად, ჩვენს ქვეყანაში 77 ათასზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვი დაფიქსირდა და საქართველო, ამ მხრივ, მართლაც არის ქვეყანა, სადაც მაღალია ბავშვთა რაოდენობა სიღარიბის კუთხით. შესაბამისად, ბევრი პრობლემაა – ბავშვები ქუჩაში, ბავშვები უმძიმეს პირობებში, მაგრამ იმ რეფორმამ, რომელიც გაეროს მხარდაჭერით ხორციელდებოდა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ბოლო პერიოდში მსხვილი საბავშვო დაწესებულებების შემცირების პროცესში, რამაც, შესაბამისად, ამ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების რიცხვიც შეამცირდა. სახელმწიფომ პრიორიტეტად აიღო იმ ოჯახების გაძლიერება, სადაც ბავშვები სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ. ამ კუთხით, ვფიქრობთ, ახალი ტიპის რეკომენდაციები უნდა მივცეთ მთავრობას. ჩვენი კომიტეტი სწორედ ამ ინიციატივით გამოდის და ამის შესახებ პარლამენტშიც მსჯელობენ. სურვილი გვაქვს, მომავალი წელი ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოვაცხადოდ. პრიორიტეტად გამოვაცხადოთ ბავშვები და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მათ აღარ იცხოვრონ სიღარიბეში, უსახლკაროდ. უახლოეს წლებში შიმშილისგან არც ერთი ბავშვი აღარ უნდა გარდაიცვალოს. ვფიქრობ, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინიციატივა მხარდაჭერილი იქნება როგორც პარლამენტის, ასევე მთავრობის მხრიდან“.*

USAID-ის საქართველოს მისიის დირექტორის, **სტივენ ჰეიკენის** განცხადებით: *„USAID-ის და UNICEF-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას, საზოგადოების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. დღეს, ასევე, განვიხილავთ ბავშვზე ზრუნვის პროექტის განხორციელების შედეგად მიღწეულ შედეგებს. ამ პროექტის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა განხორციელდა. ჩვენ მხარში ვუდგავართ საქართველოს მთავრობას, რათა აღმოიფხვრას ის ძალადობა, რომელიც ოჯახებში ბავშვების მიმართ ხორციელდება“.* მან დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ბავშვზე ზრუნვის სისტემის ამოქმედებაში მონაწილეობდა.

კონფერენციამ საშუალება მისცა სხვადასხვა უწყებებისა და ქვეყნების წარმომადგენლებს, შესაბამისი გამოცდილების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, საქართველოში ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებზე გაემართათ დისკუსია. დისკუსიებმა და პრეზენტაციებმა უკეთ წარმოაჩინა საერთაშორისო ნორმები და სხვა ქვეყნების გამოცდილება, რაც სასარგებლო იქნება ქართული მხარისთვის.

ამასთან ერთად, კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა:

– შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის მუდმივი მზრუნველობისა და ამასთან დაკავშირებული ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების გაძლიერებაზე;

– სოციალური ფონდის ოპერაციონალიზაციაზე – ფონდისა, რომელიც მხარს დაუჭერს ბავშვთა მიტოვების პრევენციას და რეინტეგრაციას მოქნილი მექანიზმებით;

– სპეციალიზებული მიმღები ოჯახების მოძიებაზე, გადამზადებასა და მონიტორინგზე.

დაისახა სამომავლო გეგმებიც, ბავშვზე ზრუნვის რეფორმის მომდევნო ნაბიჯები. კონფერენციის მონაწილეები იმ ძირითად სფეროებზე შეთანხმდნენ, რომელსაც უნდა მოიცავდეს ბავშვზე ზრუნვის რეფორმის შემდეგი ფაზა, საქართველოში არსებული გამოცდილებისა და სხვა ქვეყნების წარმატებული პოლიტიკის გათვალისწინებით.

ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის პირველი ფაზა ყველაზე დიდი შედეგით – ბავშვთა სახლების დახურვით დასრულდა. კონფერენციაზე მომდევნო ფაზაზე გადასვლისთვის მხარდაჭერა გამოცხადდა.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

გერმანელებმა იციან, რომ მათი უფლებები იქ მთავრდება, სადაც შენი უფლებები იწყება

რუბრიკის სტუმარია მანია ხუციშვილი

– გამარჯობა მანია, გაგვაცანი შენი ბიოგრაფია.

– დავიბადე 1974 წელს თბილისში. 1991 წელს დავამთავრე რუსთაველის 21-ე საშუალო სკოლა; 1996 წელს კი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და უცხო ენების მეორადი განყოფილება. ამჟამად ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი-მაგისტრანტი ვარ.

– ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტი ერთ-ერთი უძველესი სასწავლებელია, საინტერესოა მისი ისტორია...

– უნივერსიტეტი, სადაც ვსწავლობ, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის (1767-1835) ინიციატივითაა დაარსებული და 1946 წლიდან მისივე სახელს ატარებს (ვილჰელმი დაიბადა ოჯახში, რომელიც პრუსიის სამეფო კართან იყო დაახლოებული – მისი ძმა, ალექსანდრე, მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ მეორეს ნათლული იყო). მან და მისმა ძმამ შესანიშნავი დაწყებითი განათლება მიიღეს შინ. ალექსანდრე უფრო საბუნებისმეტყველო დარგებით იყო გატაცებული, ვილჰელმს კი ენა, კულტურა, პოლიტიკური თეორიები და სახალხო განათლების პრობლემები აღელვებდა. იგი მეგობრობდა გოეთესთან, შილერთან და სხვა მრავალ, არა მხოლოდ გერმანელ, ინტელექტუალთან. გერმანული კლასიკის ცენტრალური საყრდენი – ჰუმანიზმი, რომელიც ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მაქსიმუმზე და მის გაკეთილშობილებაზე იყო ორიენტირებული, ვილჰელმისა და მისი თანამედროვეების თვალსაწიერში მოექცა და ახალი ჰუმანიზმის ფორმით კვლავ აქტუალური გახდა. ძველი ფილოლოგიის სწავლულმა, ფრიდრიხ ავგუსტ ვოლფმა ახალი ჰუმანიზმის კონცეფცია შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: *„იგი მოიცავს ყველაფერს, რის შედეგადაც სულისა და გონების ყოველი ძალა ერთ მშვენიერ ჰარმონიაში შეიკვრება და ადამიანს შინაგანი და გარეგანი გაკეთილშობილებისაკენ უბიძგებს“*. სწორედ ამ განსაზღვრებამ მიიყვანა ვილჰელმ ჰუმბოლდტი განათლების ახლებურ თეორიასთან. მან შეიმუშავა განათლების განსხვავებული კონცეპტი, ე.წ. „ჰუმანისტური გიმნაზიის“ სახით, სადაც ბერძნულსა და ლათინურ ენებს ცენტრალური ადგილი მიუჩინა და რომელიც მე-19 საუკუნის გერმანიის უნივერსიტეტებში მისაღებ მნიშვნელოვან წინაპირობადაც კი იქცა.

ჰუმბოლდტი განათლებას ძალზე მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდგვაროვან წრეს მიეკუთვნებოდა, განათლება საერთო სახალხო პროექტად დასახა და მთელი ცხოვრების მანძილზე ეძებდა განათლების ხელმისაწვდომობის მისაღწევ გზებს.

მისი „განათლების იდეალი“ მოიცავდა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ერთიანობას, რაც დღესაც ძალზე აქტუალურია. მისი რეფორმების დაგვირგვინება კი, სწორედ ამ შეხედულებაზე დაფუძნებული, მისივე ინიციატივით, ბერლინში 1809 წელს დაარსებული, ფრიდრიხ-ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტი გახდა.

უნივერსიტეტის დაარსების იდეას წინ უძღოდა ინტენსიური დისკუსიები საზოგადოებაში. ჰუმბოლდტზეც, თავის მხრივ, დიდი გავლენა ჰქონდა იოჰან გოტლიბ ფიხტესა და ფრიდრიხ შლაიერმახერის იდეებს. 1810 წელს მან გიმნაზიის მასწავლებლის მომზადების მოდელიც შეიმუშავა, რომელიც თავისი არსით სცილდებოდა იმ დროისათვის გავრცელებული განმანათლებლური პედაგოგიკის ჩარჩოებს. ჰუმბოლდტის ხედვით, ადამიანის ცენტრი ენაა. სწორედ ენის ზედმიწევნითი შესწავლით პოულობს ადამიანი თავის თავს და აღწევს ჭეშმარიტ თავისუფლებას.

დიდხანს შეიძლება საუბარი ჰუმბოლდტის იდეების გარშემო, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ინტერესი ენებთან მიმართებაში. ყოველმხრივ განსწავლული მეცნიერი ათამდე ენას ფლობდა და სხვა ათამდე ენას იკვლევდა, მათ შორის, აბორიგენთა, კოპტურს, ძველეგვიპტურს, სანსკრიტს, ჩინურს და სხვ. ასევე აქტიური მეცნიერი იყო მისი ძმაც. ამბობენ, არც ერთ სხვა და-ძმას იმდენი გავლენა არ მოუხდენია მეცნიერებაში, როგორც ეს ჰუმბოლდტებმა მოახერხესო. სხვათა შორის, ალექსანდრეს რჩევით, 1843 წელს ბერლინის პროფესორმა ორიენტალისტიკის დარგში, გეორგ როზენმა საქართველოში ლინგვისტურ-ეთნოგრაფიული კვლევა ჩაატარა –კავკასიის ენების, მათ შორის, მეგრულის, აფხაზურის, ოსურის მოკლე აღწერა მოგვცა და მათი კოდიფიკაციაც (თითოეულ ფონეტიკურ ბგერას შესაბამისი გრაფიკული ასო მიუჩინა) მოახდინა ქართული ანბანის მეშვეობით.

– რა პროფესიას ეუფლები და რამ განაპირობა არჩევანი?

– ენა, ენის რაობა და მისი ფუნქცია ყოველთვის მაინტერესებდა, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტმა კიდევ უფრო მეტად გააძლიერა ეს ინტერესი. თავდაპირველად ისტორიის და სკანდინავიური ენების შესწავლა გადავწყვიტე, მაგრამ ჩემში ერთ-ერთმა ძლიერმა საბჭოთა დროის გავლენამ, კერძოდ, რუსულის ცოდნამ, გეზი შემაცვლევინა და ასე გავხდი რუსული და სკანდინავიური ენების ფაკულტეტის სტუდენტი.

ამჟამად ენობრივი პოლიტიკის საკითხებს ვიკვლევ. საქართველოსა და სკანდინავიის, კერძოდ, ნორვეგიის ენობრივ პოლიტიკას ვადარებ ერთმანეთს. ენობრივი პოლიტიკა ქვეყნის კულტურის პოლიტიკაზეა გადაჯაჭვული. პირველ რიგში, იგი დაფიქსირებულია კონსტიტუციაში, მაგრამ საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებები იმისათვის, რომ მოცემული კანონი წარმატებით განხორციელდეს. საერთოდ, რაც მოკლედ და ლაკონურადაა გადმოცემული, მით უფრო მოქნილია. იგი ერთგვარი შეზღუდვაცაა – როცა რაიმეს იცავს, იმავდროულად რაღაცასაც ზღუდავს. ახალი კანონი ჩნდება მაშინ, როცა ჩნდება პრობლემა, რის მოწესრიგებასაც კანონი გვპირდება. ენობრივი პოლიტიკის გატარება საჭიროებს მთელ რიგ ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, პირველ რიგში კი – თანხების მობილიზებას. იგი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა, საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლა, უნივერსიტეტი), ხელოვნება, კულტურა, ლიტერატურა, ენობრივი უმცირესობანი და სხვ. ენობრივი პოლიტიკა შეიძლება იარაღადაც გადაიქცეს. იგი არსებობს მაშინაც, როდესაც სახელმწიფო არაა შემდგარი ან სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იმყოფება.

– როგორ ხდება სტიპენდიების და გრანტების მოპოვება უნივერსიტეტში. ზოგიერთ ქვეყანაში სტიპენდიები გამოიყოფა საკონკურსო საწყისებზე (ნიჭიერი სტუდენტებისთვის) უშუალოდ სასწავლო დაწესებულების მიერ, რა პრივილეგიებითა და შეღავათებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები?

– რამდენადაც ვიცი, არც ძველი მაგისტრის და არც ახალი ბაკალავრიატისა და მასტერის პროგრამა სწავლის პროგრამის სრულ სტიპენდიებს ქართველ სტუდენტებზე არ ითვალისწინებს. არსებობს სოკრატესა და ერაზმუსის ერთ ან ორსემესტრიანი სტიპენდიები, რომლებიც სტუდენტებს სასწავლებლების გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისას ეხმარება. თანაც ეს სტიპენდიები ევროკავშირის ქვეყნების სტუდენტებზეა გათვლილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ევროგაერთიანების საერთო ფონდიდან ფინანსდება. თუკი შენი მშობლები ევროგაერთიანების რომელიმე ქვეყნის სახელმწიფო გადასახადებს იხდიდნენ, მაშინ გზა ხსნილი გაქვს. საზოგადოდ, უმაღლეს განათლებას ევროპაში მშობლები აფინანსებენ, თუმცა არის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დამხმარე სტიპენდიებიც მატერიალურად ნაკლებად შეძლებული ფენისათვის, მაგრამ აქაც სახელმწიფო აფინანსებს თავის მოქალაქეს. უცხოელთათვის სტიპენდია იშვიათობაა. იგი არასოდეს ფარავს სწავლის სრული კურსის ხარჯს. არსებობს კვლევის გარკვეული მონაკვეთის დაფინანსების შესაძლებლობები, მაგრამ იგი ყოველთვის უკავშირდება რაიმე მეცნიერული საკითხის კვლევას ან რომელიმე კონკრეტულ პროექტს.

– ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში, თავის დროზე, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა და ასწავლიდა, მათ შორის იყვნენ ქართველებიც. რა შეგიძლია მიამბო მათ შესახებ?

– თითქმის ყველა პროფესორი, ვინც ასწავლიდა და ასწავლის, განსაკუთრებულია და მათი გამოყოფა მიჭირს. ისინი ინტენსიურად მუშაობენ როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულადაც. ამას მოწმობს მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, შექმნილი პრაქტიკული დანიშნულების საგნები, აღმოჩენები და ა.შ. რამდენიმე ისტორიულ პიროვნებაზე შევჩერდები. პოეტი ჰაინრიხ ჰაინე, 1829 წელს, ამ სასწავლებლის სტუდენტი გახდა. 1841 წლიდან აქ ასწავლიდნენ ძმები გრიმები, მათი დაარსებულია აქვე გერმანისტიკის ინსტიტუტი. 29-მდე ნობელის პრემიის მფლობელი, სხვადასხვა დარგში, სწორედ ამ კამპუსის კურსდამთავრებული ან მასწავლებელი იყო. ბერლინის პირველი ქალბატონი დოქტორიც ამ უნივერსიტეტმა განსწავლა. ჰუმბოლდტის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში ძალიან ბევრი ქართველიც სწავლობდა და ასწავლიდა: ივანე ჯავახიშვილი აქ ისტორიისა და ფილოსოფიის კურსს ისმენდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, რომლის დაარსებაში მასაც დიდი წვლილი მიუძღვის, ჰუმბოლდტმა და გერმანულმა საუნივერსიტეტო ტრადიციამ საგრძნობი გავლენა იქონია. ერთი თვალის შევლებითაც აშკარაა ამ ორი უნივერსიტეტის პომპეზური ფოიეების არქიტექტურული მსგავსება. საინტერესოა, ჰქონდათ თუ არა თბილისის უნივერსიტეტის არქიტექტორ-მშენებლებს, სიმონ კლდიაშვილსა და ნიკოლოზ ცხვედაძეს, ნანახი ბერლინის უნივერსიტეტი. 100-150 წლის წინ სამეცნიერო წამყვანი ენა გერმანული იყო. კონსტანტინე გამსახურდიამ სადოქტორო შრომა ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში წარადგინა. აქვე, ორიენტალისტიკის ფაკულტეტზე ასწავლიდა პროფესორი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი. იგი ლურსმული დამწერლობის და ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი იყო. ამასთან, 1919 წელს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ელჩი შვედეთში, რომელიც მოგვიანებით ცისფერყანწელმა არისტო ჭუმბაძემ შეცვალა.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების შესახებ

– ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტს თერთმეტი ფაკულტეტი აქვს. მე ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობ, კერძოდ, პირველ საგნად – ჩრდილოეთ ევროპის ინსტიტუტში, მეორე საგნად კი – სლავისტიკის ინსტიტუტში. ჩემი სასწავლო პროგრამა ძველი, ტრადიციული მაგისტრის პროგრამაა, რასაც რამდენიმე თვეში სრულად ჩაანაცვლებს ბაკალავრისა და მასტერის პროგრამები. ეს უკანასკნელნი, ბოლონიის შეთანხმების შედეგად, ევროპული ქვეყნების თითქმის ყველა უნივერსიტეტში განხორციელდა, მათ შორის საქართველოშიც. ყველა ინსტიტუტს აქვს თავისი ვიწრო პროფილის, თუმცა ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია დიგიტალური ტექსტებითაც. ამავდროულად, უნივერსიტეტში არის მედიოთეკა (ხმოვანი და გამოსახულებიანი სასწავლო მასალა, მათ შორის ფილმებიც) და ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც ღამის 00 საათამდე და გამოსასვლელ დღეებშიც კი ემსახურება სტუდენტებს.

– სასწავლო პროგრამით ხომ არ მოგიწია სასწავლებლიდან სხვა ქვეყანაში წასვლა, კერძოდ სად?

– უშუალოდ სასწავლო პროგრამით ნორვეგიაში ვიყავი და ამისთვის სტიპენდიაც მივიღე, დავათვალიერე პოლონეთიც. მოგზაურობა ძალიან მიყვარს, თუკი ამის შესაძლებლობა მეძლევა, ყოველთვის სიამოვნებით ვალაგებ სამოგზაურო ჩანთას.

– სწავლის პარალელურად გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა?

– გამონაკლისების გარდა, ქართველების უმეტესობას უცხოეთში მუშაობა უწევს, თანაც საკმაოდ დატვირთულად, რაც განათლების პროცესს, რა თქმა უნდა, ძალიან აფერხებს. ძნელია, ისე გაანაწილო დრო და საკუთარი რესურსები, რომ სწავლის პროცესი დაგეგმო და ზედმიწევნით შეასრულო. თუმცა, შესაძლებლობები კარგი განათლებისათვის აქ გაცილებით მეტია.

– მიამბე, როგორ ცხოვრობენ გერმანელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, სად და როგორ ატარებენ თვისუფალ დროს?

– საზოგადოდ, გერმანელები ძალიან დისციპლინირებული, მეგობრული და ყურადღებიანი ხალხია. მათ თავშეკავებულობას ხშირად გულგრილობად აღიქვამენ ხოლმე, თუმცა, როდესაც გერმანელს დაუმეგობრდები, ეს მითები მაშინვე იფანტება. მათი დისტანციურობა იმით აიხსნება, რომ პატივს სცემენ შენს პიროვნებას და ზედმეტად არ

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

გაწუხებენ, უბრალოდ იციან, რომ მათი უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება შენი. ხვენნა-მუდარა ან დაძალება ქართული ფენომენია, რომელსაც, დემოკრატიულობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, მე პირადად, ნეგატიურად ვაფასებ – ორივე შემთხვევაში კომუნიკაცია დარღვეულია. ერთი მხარე ცდილობს, მეორეს თავს მოახვიოს თავისი ინტერესები, ან ერთ მხარეს ჰგონია, რომ მეორე მხარეს არ შეუძლია ადეკვატურად გამოხატოს საკუთრი სურვილი და თავად წყვეტს, რა არის მისთვის კარგი ან ცუდი.

საქართველოში დისკუსიასთან მწყრალად არიან. ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ უკიდურეს, ხშირად მხოლოდ კონფლიქტურ ან გამოუვალ შემთხვევაში ესაუბრებიან. ასეთი გამოთქმაც არსებობს: „გახდა, რა, სალაპარაკო!“ ჩვენს საზოგადოებაში ლაპარაკისთვის მინიჭებული ნეგატიური კონოტაცია (მნიშვნელობა) შემთხვევითი არაა. სამწუხაროდ, ეს ჯერ ცარიზმისა და შემდეგ საბჭოთა ტოტალიტარიზმის დამღაა, რაც ჯერ ისევ მძიმედ გვაწევს.

გერმანელებს ძალიან უყვართ მოგზაურობა. აქ უმაღლესი სკოლის მისაღები გამოცდები სკოლის დამთავრებისთანავე ბარდება და მას „აბიტურს“ ეძახიან. გამოცდებში მიღებულ ქულათა ჯამით განისაზღვრება მომდევნო წლებში უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წარმატება. დაამთავრებენ თუ არა სკოლას გერმანელები, მოიკიდებენ ზურგჩანთას და მოგზაურობენ მსოფლიოს გარშემო, უმეტესად სხვადასხვა სოციალური პროგრამების ეგიდით. სწავლობენ უცხო ენებს, არ ვგულისხმობ ინგლისურს, რადგან მას აქ 30-40 წლის ქვემოთ ისედაც თითქმის ყველა ფლობს. მოგზაურობით რომ გულს იჯერებენ, იწყებენ განათლებას. პროფესიული განათლება, რამდენადაც ის სოციალური სისტემის მოწყობის ნაწილია, მხოლოდ გერმანელების პრივილეგიაა, უნივერსიტეტი კი – ინტერნაციონალურია. ახალგაზრდების ცხოვრება აქ ძალიან ჯანსაღია. საერთოდ, რაც უფრო შეძლებულ ფენას მიეკუთვნება ადამიანი, მით უფრო მეტად ზრუნავს იგი თავის ჯანმრთელობაზე, მოხუციც და ახალგაზრდაც. ამ მხრივ, ბერლინი პირდაპირ არაჩვეულებრივი ქალაქია. გარდა იმისა, რომ მას აქვს უამრავი კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულება, 2500-მდე დიდსა და პატარა გამწვანებულ პარკსაც ითვლის. შეიძლება შუა ქალაქშიც კი გადააწყდეთ ჩვენებურ აგარაკებს, სადაც ბერლინელები ზაფხულობით მზეს ეფიცხებიან, სოსისებს წვავენ, მეგობრებთან ერთად ან სულაც მარტო ლუდს წრუპავენ და ხეხილს და ბოსტნეულს უვლიან. ქალაქის გარეუბანში რამდენიმე ტბაცაა, რაც ზაფხულის სიცხისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა. პოპულარული გადაადგილების საშუალება ველოსიპედია, თუმცა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ცალკეული გამონაკლისების გარდა, საათივითაა აწყობილი და მისი საშუალებით ბერლინის ნებისმიერი ადგილის მონახულება შეიძლება. ბერლინს რამდენიმე უნივერსიტეტი და უმაღლესი სასწავლებელი აქვს, რომლებიც ქსელს ქმნიან. სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვა უმაღლესი დაწესებულების მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებშიც, ისარგებლონ ბიბლიოთეკებით და სხვ. მე პირადად თავისუფალ დროს ვვარჯიშობ იოგას ან დავრბივარ. კარგა ხანს წყლის ტანვარჯიშით ვიყავი გატაცებული. ბერლინში უამრავი მუზეუმიცაა. ნეფერტიტიც აქ არის. როდესაც დრო მაქვს, სიამოვნებით შევუვლი ხოლმე და ვტკბები მისი სილამაზით.

– დაბოლოს, საზღვარგარეთ ცხოვრობ და ალბათ ხშირად ფიქრობ სამშობლოზე. შორიდან, მართლა უკეთესი ჩანს ჩვენი ქვეყანა, ვიდრე სინამდვილეშია?

– რა არის სამშობლო?! გეოგრაფიული ადგილი, სადაც დავიბადე და მივიღე პირველადი სოციალიზაცია. იმას, რასაც საქართველოში სამშობლოს ეძახიან, მე უბრალოდ დაბადების ადგილს დავარქმევდი. სამშობლო ჩემთვის წარმოსახვაში არსებობს და ერთ კონკრეტულ ადგილზე არაა მიჯაჭვული. ჩემი სამშობლო ჩემი მეგობრები და თანამოაზრეებია, რომლებიც მსოფლიოში არიან გაფანტულნი. ზოგი ვიპოვე, ზოგს გამოვემშვიდობე, ზოგს ალბათ დავკარგავ და ზოგიც ჯერ არ მიპოვია. როდესაც შენი ქვეყნის გარეთ ხარ, გაცილებით უკეთ ხედავ მის ცუდ და კარგ მხარეებს. გეოგრაფიული საქართველო სხვა ბევრ ქვეყანაზე არც უარესია და არც უკეთესი, თუკი სხვა ქვეყნებთან შედარებას მოვახდენთ. ბუნებრივი სიმდიდრეებით იგი მართლაც დაჯილდოებულია (წყლის, ტყის და ენერგიის, მათ შორის, მზის რესურსები, ადგილმდებარეობა, ბუნება საზოგადოდ), მაგრამ ეს ბუნების საჩუქარია, რომელიც ქართველმა ისე უნდა გამოიყენოს, რომ ყველას ერგოს და ამ საერთო სახალხო ბედნიერებაში ყველამ თანაბრად შეძლოს მონაწილეობა.

ჩვენ მოსაცილებელი გვაქვს ძალიან ბევრი პრობლემა, რომელიც ბალასტის სახით დაგვიგროვდა და ხან ერთ მხარეს გადაგვაქანებს და ხან მეორე. მათ მოგვარებას ჩვენ მაგივრად ვერავინ შეძლებს. სანამ რეგიონალურ კონფლიქტებს მოვაგვარებდეთ, ჩვენივე საზოგადოების შიგნით შევიხედოთ – ძალადობა ისეა ფესვგადგმული, რომ ამას ვერც კი ვაცნობიერებთ. ჩვენთან არსებობს ჯგუფები: სუსტთა და ძლიერთა, მდიდართა და ღარიბთა, რელიგიური ნიშნით, ეროვნული და ენობრივი ნიშნით, კანის ფერით, რასით, კუთხური წარმომავლობით და სქესის თვალსაზრისითაც. გათიშულია კომუნიკაცია ქალებსა და მამაკაცებს შორის.

მუდმივად ვაწესებთ უმკაცრეს წესებს, რაღაც არამიწიერ იდეალებს დავდევთ. მერე მათ ვერც ვასრულებთ და ვერც ვუტოლდებით. ვაშენებთ ძეგლებს და მონუმენტებს, რომელთა ფონზე, ისედაც პატარები, კიდევ უფრო ვპატარავდებით და ჩვენს სამართლიან წუხილს, რომ ცხოვრებას ფეხი ვერ ავუწყვეთ და ის ჩვენგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, ხან ღვინოში და ხანაც მონანიებაში ვიკლავთ. ეს კომუნიზმის მძლავრი იდეოლოგიის წნეხის შედეგია. ჩვენ ჯერ ისევ ვერ გავრკვეულვართ, საით მივდივართ.

ის, რაც ჩვენი ტრადიციები გვგონია და ვცდილობთ სახეშეუცვლელი ფორმით გადავცეთ მომავალ თაობას, სინამდვილეში სულაც არაა წმინდა ქართული. „წმინდა“ არაფერია, ტრადიცია კულტურის ნაწილია და იგი ყოველთვის განიცდის მეზობელი სახელმწიფოების გავლენას გაცვლა-გამოცვლისა და კონტაქტების შედეგად. ტრადიციაცა და ჩვეულებებიც დიდი სისწრაფით იცვლება. საგრძნობი ცვლილებისათვის 10 წელიც კი კმარა.

ერთ რამეზეც უნდა შევთანხმდეთ, ადამიანი, რომელსაც საკუთარ თავზე სიცილი და კრიტიკის მოსმენა არ შეუძლია, განწირულია. ამის შესახებ, ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარე, ბევრი გამონათქვამი არსებობს. ამ წუთს ერთი ასეთი მახსენდება, სამუელ ბატლერს ეკუთვნის: *„მხოლოდ ბრძენი დასცინის საკუთარ თავს, გიჟი კი – სხვებს“*. საზოგადოდ, თვითკმაყოფილება გადაგვარებისაკენ მიმავალი ყველაზე მოკლე გზაა და არც ეს უნდა დაგვავიწყდეს. ხშირად ისმის ხოლმე კითხვა: რა დაგვაყენებს სწორ გზაზე? ვფიქრობ, საკუთარი თავის კრიტიკა და ცოტა სიცილიც, სიზარმაცის დაძლევა, წიგნების კითხვა და განათლება, დისკუსია და თანაგრძნობა. ნორვეგიულ-დანიური წარმოშობის ავტორმა, აკსელ სანდემუსმა (1899-1965) თავის ცნობილ რომანში „ლტოლვილი თავის ნაკვალევს სერავს“ „10 მცნებით“ ასე გააკრიტიკა საზოგადოება:

1. ნუ დაიჯერებ, რომ რამეს წარმოადგენ.
2. ნუ დაიჯერებ, რომ შენ იმდენივე ხარ, რაც ჩვენ.
3. ნუ დაიჯერებ, რომ შენ ჩვენზე ჭკვიანი ხარ.
4. ნუ გეგონება, რომ შენ ჩვენზე უკეთესი ხარ.
5. ნუ გეგონება, რომ შენ მეტი იცი, ვიდრე ჩვენ.
6. ნუ გეგონება, რომ შენ ჩვენზე აღმატებული ხარ.
7. ნუ გეგონება, რომ შენ რამის თავი გაქვს.
8. ნუ გაიცინებ ჩვენზე.
9. ნუ გეგონება, რომ შენ ყურადღების ცენტრი ხარ.
10. ნუ გეგონება, რომ შენ ჩვენთვის რაიმეს სწავლება შეგიძლია.

ეს პოსტულატები, კარგა ხანია, სკანდინავიური ქვეყნების ქცევის კოდექსად იქცა. ვგონებ, ჩვენთვისაც სასარგებლო იქნებოდა ამ ღირებულებებზე დაფიქრება.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

ინფორმაცია

აზერბაიჯანში არსებულ ქართულენოვან სკოლებს სახელმძღვანელოები გადაეცათ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **თამაზ მარსაგიშვილი** და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **მუხრან გულაღაშვილი** აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში ქართველებით კომპაქტურად დასახლებული სოფლების – ითითალას, ალიაბადისა და კახინგილოს – ქართულ სკოლებს ეწვივნენ და მოსწავლეებს საჩუქრად ქართული სასკოლო სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო მასალები გადასცეს. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში სულ 7 ქართულენოვანი სკოლაა, 4 აზერბაიჯანულენოვან სკოლაში კი ქართული სექტორი ფუნქციონირებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყველა ამ სკოლის მოსწავლისათვის ქართული ენისა და მათემატიკის ის სახელმძღვანელოები შეიძინა, რომლითაც მათი თანატოლები საქართველოში სწავლობენ.

ზემოაღნიშნულ სკოლებს, 2008 წლამდე, სახელმძღვანელოებითა და პროგრამებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფდა. შემდეგ წიგნებით უზრუნველყოფა შეწყდა. აღნიშნული რეგიონის ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთა მშობლების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა სახელმძღვანელოების ცალობით შეძენას საქართველოში, რამაც საგრძნობლად შეამცირა ამ რაიონებიდან საქართველოში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობაც და გამოცდებზე მიღწეული შედეგებიც.

ხანგრძლივი შუალედის შემდეგ, 2013 წლიდან გახდა შესაძლებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, მშობლიური ენის შესწავლის ხელშეწყობისა და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების შენარჩუნების მიზნით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების ჩატანა.

პროგრამის განხორციელებაში აქტიურადაა ჩართული დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის სახელმწიფო აპარატი, რომელიც სამინისტროს ბენეფიციარებთან ურთიერთობაში ეხმარება, ასევე მონაწილეობს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ვიზიტის საორგანიზაციო საკითხებში.

კატასტროფის რისკის შემცირების პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტის **„კატასტროფის რისკის შემცირების კომპონენტის ინტეგრირება განათლებაში“** დასკვნითი ღონისძიება გამართა.

ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** და სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსმა **ნათია ჯოხაძემ** გახსნეს.

პროექტი მიზნად ისახავდა ბუნებრივი კატასტროფებისადმი მოსწავლეების, ზოგადად მოსახლეობის მზაობის გაუმჯობესებას და სკოლის უსაფრთხოების ზრდას. საქართველო მიეკუთვნება ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკის მქონე რეგიონს. მოსახლეობას უჭირს კატასტროფების რისკის სათანადოდ გაცნობიერება. აქედან გამომდინარე, პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს კატასტროფებისადმი მზადყოფნისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების დაუფლებისთვის.

პროექტში 23 ათასამდე ადამიანი იყო ჩართული, მათ შორის 4 000 მოსწავლე თბილისისა და საქართველოს ოთხი რეგიონის (მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სამეგრელო/ზემო სვანეთი) 10 საპილოტე სკოლიდან.

პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის ტრენერ/სპეციალისტებმა შერჩეულ სკოლებში ტრენინგები ჩაატარეს. გადაამზადეს დირექტორები, მასწავლებლები და მოსწავლეები, სკოლები აღიჭურვა საგანგებო სიტუაციებისთვის საჭირო სპეციალური ტექნიკური ხელსაწყოებით, შეიქმნა ტრენერთა სატრენინგო პაკეტი – კატასტროფის რისკის შემცირების სწავლება ინტერაქტიული მეთოდებით.

პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ითვალისწინებდა სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის ელექტრონული თამაშების შექმნას ბუნებრივი კატასტროფების თემატიკაზე. ელექტრონული პროდუქტი ხუთ ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფას (მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ხანძარი) მოიცავს.

თამაშების შინაარსი მოსწავლეებისთვის შემეცნებითია და თემატურად ემსახურება საგანმანათლებლო მიზნებს. გათვალისწინებულია მოსწავლეების ასაკი (I-VI კლასები) და ფსიქოლოგიური განწყობები. შექმნილი ელექტრონული თამაშები მოსწავლეებისთვის სახალისოა და წარმოადგენს სასარგებლო სასწავლო რესურსს, რომელიც ემსახურება მოსწავლეებში ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას და პრევენციული ღონისძიებების დასწავლას.

სასერტიფიკაციო გამოცდა

ტესტური დავალებები ქიმიაში

ლია თევზაძე
ქიმიის
მეცნიერებათა დოქტორი

ქიმიური რეაქციები

ნაწილი II

ქიმიური რეაქციების კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნის მიხედვით შეიძლება:

მიმდინარეობის პირობების მიხედვით: ზოგი რეაქციისთვის საკმარისია ნივთიერებათა ხსნარების შერევა (მაგ. ნეიტრალიზაცია) ზოგისთვის აალების ტემპერატურამდე გახურება (მაგ. ნახშირის წვა), ზოგისთვის დასხივება (მაქ. ქლორწყალბადის სინთეზი) ან კატალიზატორის გამოყენება (მაგ. ამიაკის სინთეზი) და ა.შ. მიმდინარეობის პირობა (t; hv; k) რეაქციის ტოლობის ისარზე ეწერება.

ურთიერთქმედების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ შეერთების, დაშლის, ჩანაცვლებისა და მიმოცვლის რეაქციებს, სითბური ეფექტის მიხედვით ეგზო (+Q ; -ΔH) და ენდოთერმულს (-Q ; +ΔH) მიმდინარეობის მიმართულების მიხედვით შეუქცევადსა (→) და შექცევადს (⇆) შექცევადი რეაქცია წონასწორობის დამყარებით სრულდება. წონასწორობის გადახრა ლე-შატელიეს პრინციპის მიხედვით კონცენტრაციის, წნევისა და ტემპერატურის ცვლილებით (გაზრდით, შემცირებით) შეიძლება. კატალიზატორის დამატება აჩქარებს წონასწორობას, მაგრამ ვერ გადაანაცვლებს.

ქიმიურ რეაქციათა დიდი ნაწილი ჟანგვა-აღდგენისაა. ჟანგვა ელექტრონების გაცემაა, აღდგენა-მიერთება. აღმდგენის მიერ გაცემულ ელექტრონებს მჟანგავი იერთებს. ამ დროს აღმდგენი იჟანგება, მჟანგავი აღდგება, ჟანგვისას ქიმიური ელემენტის დადებითი ჟანგვის რიცხვი იზრდება, აღდგენისას კი მცირდება. ჟანგვა-აღდგენის რეაქციების გატოლება სწორედ ელექტრონების ბალანსით ხდება.

1. მოცემულია ქიმიური რეაქციის ტოლობა:

$N_2 + 3H_2 \leftrightarrows 2NH_3 + Q$ (-ΔH) ΔH=-92კჯ/მოლი

უპასუხეთ 1.1 - 1.10 კითხვებს

1.1. მოცემული რეაქცია არის
ⓐ შეერთების ბ. დაშლის
გ. ჩანაცვლების დ. მიმოცვლის

1.2. მოცემული რეაქცია არის:
I ეგზოთერმული და კატალიზური; II. შექცევადი.
ა. მხოლოდ I ბ. მხოლოდ II ⓖ I და II დ. არც ერთი

1.3. რეაქციაში მონაწილე აირთა მოცულობითი თანაფარდობებია შესაბამისად:
ა. 1:2:3 ⓑ 1:3:2 გ. 1:1:1 დ. 2:1:3

1.4. რეაქციის მსვლელობისას:
ა. აზოტი იჟანგება, წყალბადი აღდგება.
ბ. აზოტი აღდგება, ამიაკი იჟანგება
ⓖ აზოტი აღდგება, წყალბადი იჟანგება
დ. ორივე რეაგენტი იჟანგება

1.5. რომელი ფაქტორი ვერ გადაანაცვლებს წონასწორობას ამიაკის წარმოქმნის მხარეს:
ა. წნევის გაზრდა
ბ. წყალბადის კონცენტრაციის გაზრდა
გ. ტემპერატურის შემცირება
ⓓ კატალიზატორის დამატება

1.6. როგორ შეიცვლება რეაქციის სიჩქარე, თუ წყალბადის კონცენტრაცია 2-ჯერ გაიზარდა (რეაქციის კინეტიკური განტოლებაა $v=kc_{N_2}.C^3_{H_2}$)
ა. გაიზრდება 2-ჯერ ბ. გაიზრდება 4-ჯერ
ⓖ გაიზრდება 8-ჯერ დ. არ შეიცვლება

1.7. როგორ შეიცვლება რეაქციის სიჩქარე, თუ სარეაქციო ნარევის მოცულობა 3-ჯერ შემცირდება (ე.ი. წნევა 3-ჯერ გაიზრდება)
ა. 3-ჯერ გაიზრდება ბ. 27-–ჯერ გაიზრდება
გ. 9-ჯერ გაიზრდება ⓓ 81-ჯერ გაიზრდება

1.8. წარმოიდგინეთ რომ 500C°-ზე რეაქციის სიჩქარეა 5 მოლი/ლ.წმ. რისი ტოლი იქნება რეაქციის სიჩქარე (მოლი/ლ.წმ) 550C°-ზე, თუ რეაქციის სიჩქარის ტემპერატურული კოეფიციენტი λ=2

(ვანტ-ჰოფის წესით $V_{t_2}/V_{t_1}=\lambda^{T_2-T_1/10}$)

ა. 120 ⓑ 160 გ. 32 დ. 50

1.9. გრაფიკი ასახავს რეაქციაში მონაწილე ნივთიერებების კონცენტრაციის ცვლილებას სინთეზის რეაქციის მიმდინარეობისას. რომელი მრუდი შეესაბამება წყალბადის კონცენტრაციის ცვლილებას?



ⓐ I ბ. II გ. III დ. IV

1.10. რა რაოდენობის სითბო (კ.ჯოული) გამოიყოფა 0,5 მოლი ამიაკის წარმოქმნისას,
ა. 92 ⓑ 46 გ. 184 დ. 9,2

2. მოცემულია ქიმიური რეაქციის ტოლობა

$C_{მყ} + CO_{2 აირ} \overset{t}{\leftrightarrows} 2CO_{აირ}$ ΔH>O (96კჯ/მოლი)

უპასუხეთ 2.1 - 2.10 კითხვებს

2.1. მოცემული რეაქცია არის
ⓐ შეერთების ბ. ჩანაცვლების
გ. მიმოცვლის დ. დაშლის

2.2 მოცემული რეაქცია არის:
I ენდოთერმული II შეუქცევადი
ⓐ მხოლოდ I ბ. მხოლოდ II
გ. I და II დ. არც ერთი

2.3. რეაქციაში მონაწილე აირთა მოცულობითი თანაფარდობებია
ა. 1:1 ბ. 2:1 ⓖ 1:2 დ. 1:1:2

2.4. რეაქციის მსვლელობისას
I. ნახშირბადი იჟანგება, ჟანგბადი აღდგება
II. ნახშირბადი კიდევაც იჟანგება და კიდევაც აღდგება
ა. მხოლოდI ⓑ მხოლოდ II გ. I და II დ. არც ერთი

2.5. რომელი ფაქტორი ვერ გადაანაცვლებს წონასწორობას CO-ს წარმოქმნის მხრაეს?
ⓐ წნევის გაზრდა
ბ. ტემპერატურის გაზრდა
გ. CO_2-ის კონცენტრაციის გაზრდა.
დ. სარეაქციო ნარევიდან CO-ს მოშორება

2.6. როგორ შეიცვლება რეაქციის სიჩქარე, თუ ნახშირორჟანგის კონცენტრაცია 2-ჯერ გაიზარდა (რეაქციის კინეტიკური განტოლებაა $v=kC_{CO_2}$)
ა. 4-ჯერ გაიზარდა ბ. 8-ჯერ გაიზრდება
ⓖ 2-ჯერ გაიზრდება დ. 2-ჯერ შემცირდება.

2.7. როგორ შეიცვლება რეაქციის სიჩქარე, თუ სარეაქციო ნარევის მოცულობა 3-ჯერ შემცირდება (ე.ი. წნევა 3-ჯერ გაიზრდება).
ა. შემცირდება 3-ჯერ; ბ. გაიზრდება 9-ჯერ;
გ. შემცირდება 9-ჯერ ⓓ გაიზრდება 3-ჯერ

2.8. წარმოიდგინეთ რომ 850C°-ზე რეაქციის სიჩქარეა 10 მოლი/ლ.წმ. რისი ტოლი იქნება რეაქციის სიჩქარე 900C°-ზე, თუ λ=2.
ⓐ 32-ჯერ გაიზრდება ბ. 320-ჯერ გაიზრდება
გ. 50-ჯერ გაიზრდება დ. არ შეიცვლება.

2.9. რომელი გრაფიკი ასახავს რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე



ⓐ მხოლოდ I
ბ. მხოლოდ II
გ. I და II
დ. არც ერთი

2.10. რა რაოდენობის სითბო (კჯოული) შთაინთქმება 2 მოლი CO-ს წარმოქმნისას?
ა. 9,2 ბ. 19,2 ⓖ 192 დ. 92

3. მოცემულია ქიმიური რეაქციის ზოგადი სქემა:

$A_{აირ}+2C_{აირ} \leftrightarrows AC_{2 აირ}$ -Q (ΔH>O)

3.1. რომელი ორი ფაქტორის ერთდროულად გაზრდა გადაანაცვლებს წონასწორობას პროდუქტის წარმოქმნის მხარეს?
I. წნევის და ტემპერატურის
II. A და C აირების კონცენტრაციის.
ა. მხოლოდ I ბ. მხოლოდ II ⓖ I და II დ. არც ერთის

3.2. როგორ დაიწერება ამ რეაქციის კინეტიკური განტოლება
ⓐ $v=K[A][C]^2$ ბ. $v=K[A][C]$
გ. $v=k[AC_2]$ დ $v=k[A]^2[C]$

3.3. რამდენჯერ შეიცვლება რეაქციის სიჩქარე, თუ A და C აირების კონცენტრაციას 2-2-ჯერ გაზრდით?
ა. 4-ჯერ გაიზრდება ბ. 4-ჯერ შემცირდება
ⓖ 8-ჯერ გაიზრდება დ. 8-ჯერ შემცირდება

3.4. წარმოიდგინეთ, რომ რეაქციის მიმდინარეობისას წნევა გიზარდა 4-ჯერ. რამდენჯერ გაიზრდება ამ დროს რეაქციის სიჩქარე?
ⓐ 64-ჯერ ბ. 16-ჯერ გ. 32-ჯერ დ. 4-ჯერ

3.5. როგორ შეიცვლება რეაქციის სიჩქარე თუ ტემპერატურა 40C°-ით გაიზრდება. ჩათვალეთ რომ λ=3;
ა. 81-ჯერ შემცირდება ბ. 12-ჯერ გაიზრდება
გ. 9-ჯერ გაიზრდება ⓓ 81-ჯერ გაიზრდება

4. წყალბადის პეროქსიდი ერთნაირ პირობებში სინათლეზე ნელა იშლება, კატალიზატორის თანაობისას დაშლის სიჩქარე იზრდება, ფერმენტის თანაობისას კი რეაქციის სიჩქარე კიდევ უფრო მილიონჯერ და მეტად იზრდება:

$2H_2O_2 \rightarrow 2H_2O+O_2$-Q

4.1. ქვემოთ მოცემულ ენერგიის დიაგრამაზე, რომელი გრაფიკი შეესაბამება პეროქსიდის ფერმენტულ დაშლას?



ა. I ბ. II ⓖ III დ. არც ერთი

4.2. რომელი მრუდი ასახავს წყალბადის პეროქსიდის კონცენტრაციის ცვლილებას ფერმენტული დაშლის პირობებში;



ⓐ I ბ.II გ. III დ. არც ერთი

4.3. რომელი მრუდი ასახავს პეროქსიდის დაშლისას კატალიზატორის კოცენტრაციის დროზე დამოკიდებულებას?



ა. I ⓑ II გ. III დ. არც ერთი

4.4. რომელი მრუდი ასახავს პეროქსიდის ფერმენტული დაშლის პროცესში გამოყოფილი ჟანგბადის კონცენტრაციის დროზე დამოკიდებულებას.



ა. I ბ. II ⓖ III დ. არც ერთი

5. არაორგანულ ნაერთთა კლასებს შორის არსებობს გენეტიკური კავშირი. ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ საპირისპირო (მეტალისა და არამეტალის) გენეტიკური რიგის შემადგენელი ნივთიერებები. მაგ. მჟავა ურთიერთქმედებს მეტალთან, ფუძე ოქსიდთან, ფუძესთან ტუტესთან და მარილთან, ფერს უცვლის ინდიკატორის ხსნარს (ლაკმუსს ალურჯებს, ფენოლფტალეინი უფერო რჩება).

მიმოცვლის რეაქციები მიმდინარეობს ხსნარში იონთა დაკავშირების მიმართულებით. რეაქცია ბოლომდე მიმდინარეობს, თუ წარმოიქმნება წყალი, ნალექი ან აირი.

ნეიტრალიზაცია მჟავასა და ფუძეს შორის ყველა პირობებში მიმდინარეობს, რასაც ვერ ვიტყვით მარილსა და მჟავას, მარილსა და ტუტეს, მარილსა და მარილს შორის ხსნარში მიმდინარე რეაქციებზე.

5.1. ტუტისა და მარილის ხსნარების შერევისას წარმოიქმნება ახალი ფუძე და ახალი მარილი. რეაქცია რომ წარმმართოს ან მიღებული ფუძე უნდა იყოს ნალექი და ან მარილი.

რომელი მიმოცვლის რეაქცია წარიმართება ბოლომდე?

I. $Na_2CO_3+Co(OH)_2 \rightarrow$ II. $CuCl_2+NaOH$

III. $CaCl_2=KOH \rightarrow$

ⓐ I და II ბ. I და III გ. II და III დ. I, II და III

5.2. რომელი მიმოცვლის რეაქციის არსს ასახავს იონური ტოლობა

$Cu^{2+} + 2OH^- \rightarrow Cu(OH)_2$

I. $Cu(NO_3)_2+2NaOH$ II. $CuCl_2+2KOH \rightarrow$

ა. მხოლოდ I ბ. მხოლოდ II ⓖ I და II დ. არც ერთი

5.3. მარილსა და მჟავას შორის მიმოცვლის რეაქციის შედეგად წარმოიქმნება ახალი მარილი და ახალი მჟავა, რეაქცია ბოლომდე რომ წავიდეს ან მარილი უნდა იყოს ნალექი ან წარმოქმნილი მჟავა იყოს უხსნადი, არამდგრადი ან აქროლადი.

მარილსა და მჟავას შორის რომელი მიმოცვლის რეაქცია არ წარმართება ბოლომდე

I. $AgNO_3+NHCl \rightarrow$ II. $KNO_3+HBr \rightarrow$

ა. მხოლოდ I ბ. I და II ⓖ მხოლოდ II დ. არც ერთი

5.4. $Ba^{2+} + SO_4^{2-} \rightarrow BaSO_4 \downarrow$ იონურ ტოლობას შეესაბამება მოლეკულური ტოლობა:

I. $BaCl_2+H_2SO_4 \rightarrow$ II. $BaO+H_2SO_4 \rightarrow$

ⓐ მხოლოდ I ბ. მხოლოდ II გ. I და II დ. არც ერთი

5.5. $H^+ + OH^- \rightarrow H_2O$ იონურ ტოლობას შეესაბამება:
I. რეაქცია ნებისმიერ მჟავასა და ფუძეს შორის
II. რეაქცია ძლიერ მჟავასა და ტუტეს შორის
III. რეაქცია ძლიერმჟავასა და უხსნად ფუძეს შორის
ა. მხოლოდ I ⓑ მხოლოდ II გ. III დ. I, II და III

5.6. რომელი რეაქცია არ წარიმართება პრაქტიკულად?

I. $Na_2CO_{3 ხს}+Mg(OH)_{2 მყ}$ II. $CaCl_{2 ხს}+H_3PO_{4 ხს}$

ა. მხოლოდ I ბ. მხოლოდ II
ⓖ I და II დ. ორივე წარიმართება

სასერტიფიკაციო გამოცდა

გეოგრაფიის პედაგოგთა დასახმარებლად

მაია ბლიაძე
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

სადისკუსიო თემის განსაზღვრა

გეოგრაფიის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე ერთი საკითხი მოცემული სასწავლო რესურსების გამოყენებით სადისკუსიო თემის განსაზღვრას ეხება. არც თუ ისე იშვიათადად, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, მასწავლებლებს ხშირად აქვთ კითხვები. სწორედ ამიტომ ჩვენი სტატია ამ საკითხს ეძღვნება.

დისკუსია არის შეკრებაზე, საუბარში, კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით რაიმე საკითხის შესახებ განხილვა, კამათი. დისკუსია წამყვანსა და მსმენელებს შორის ცოდნის, შეხედულებებისა და იდეების სიტყვიერი გაცვლის პროცესია. ხშირად დისკუსიას მსჯელობასაც უწოდებენ.

დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. საკლასო დისკუსიის გამოყენება ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მათი სოციალური და ინტერპერსონალური უნარების განვითარებას. საკლასო დისკუსია ეხმარება მოსწავლეებს საკითხის ღრმა და დეტალურ განხილვაში. კერძოდ, საკლასო დისკუსიის დროს იქმნება ისეთი ატმოსფერო, რომელშიც მოსწავლეებს შეუძლიათ აზრების ურთიერთგაზიარება, ახალი იდეების გამოთქმა, სხვისი აზრების მოსმენა და გაგება, კომუნიკაციის და თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. დისკუსიის წარმართვა მოითხოვს როგორც დისკუსიის წამყვანის, ასევე მისი მონაწილეებისაგან კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, მოცემული საკითხის ცოდნას, ლიდერობის და კოორდინაციის შესაძლებლობას, აზრების ურთიერთგაცვლას, ჯგუფის, როგორც მთლიანის, გათვალისწინებას და, შესაბამისად, საჭიროებს საფუძვლიან მომზადებას. საკლასო დისკუსიის მომზადებისას მასწავლებელმა შესაბამისად უნდა შეარჩიოს დისკუსიის კონკრეტული თემა/საკითხი, რომელიც განსხვავებული მოსაზრებების განვითარების საშუალებას იძლევა. ასევე, მასწავლებელმა საკლასო დისკუსიისთვის უნდა შეარჩიოს შესაბამისი ფორმა (მაგ. მოსწავლის პრეზენტაციას მოჰყვება ჯგუფური დისკუსია; მოსწავლეებს მიცემული აქვთ წასაკითხი მასალა ან რაიმე სახის რესურსები (რუკები, ფოტოსურათები, ცხრილები და დიაგრამები) და ამას მოჰყვება შემაჯამებელი პრეზენტაცია და კლასის დისკუსია) და ფიზიკური გარემო (მაგ. წრეში ჯდომა დისკუსიის თითოეულ მონაწილეს შესაძლებლობას აძლევს, უფრო ადვილად დაამყაროს კომუნიკაცია; დიდი ჯგუფები შეიძლება დაიყოს უფრო პატარა ჯგუფებად და ა. შ.); დისკუსიის მიმდინარეობის დროს მასწავლებელმა უნდა გააკეთოს შემდეგი:

1. დისკუსიის ფასილიტაციისათვის შესაბამისი საკლასო გარემოს შექმნა:

- ❖ დისკუსიის წესების ჩამოყალიბება (აზრის გამოთქმის წესები და ა.შ.);
- ❖ ძირითადი თემების და ტერმინების ზოგადი მიმოხილვა;
- ❖ დისკუსიასთან დაკავშირებული მოლოდინების გამოთქმა;
- ❖ დისკუსიისთვის საკმარისი დროის გამოყოფა.

2. მონაწილეობის წახალისება/ხელშეწყობა:

- ❖ მოსწავლეების დასაინტერესებლად მასტიმულირებელი შეკითხვების დასმა;
- ❖ მოთხოვნა, რომ მოსწავლეებმა მუდმივად შეაჯამონ განხილული საკითხები;
- ❖ კითხვების მომზადება და მოსწავლეებისთვის გარკვეული დროის მიცემა, რათა მათ წინასწარ მოამზადონ პასუხები და შემდეგ მთელ კლასს წარუდგინონ.

3. დისკუსიის წარმართვა და დასკვნების შეჯამება:

- ❖ მოსწავლეების წახალისება, რათა მათ გამოთქვან თავიანთი იდეების გამამყარებელი არგუმენტები;
- ❖ ჩუმი/მორცხვი მოსწავლისათვის სპეციფიკური დავალების მიცემა, რაც ხელს შეუწყობს მის მონაწილეობას, ჩართვას დისკუსიაში;
- ❖ ისეთი მოსწავლის შეზღუდვა, რომელიც სხვას არ აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას;
- ❖ განხილული საკითხების შეჯამება და ძირითადი აზრების ჩამოყალიბება;
- ❖ მოსწავლეების იდეების განმარტება და მოსწავლეებისაგან დამატებითი კომენტარების მოთხოვნა.

ახლა გთავაზობთ ერთი კონკრეტული დავალების ნიმუშს და პასუხებს.

მოცემული გაქვთ სასწავლო რესურსები (რუკები, სურათები, ცხრილი). ყურადღებით დააკვირდით მოცემულ სასწავლო რესურსებს, მათზე დაყრდნობით განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა და და უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშავოთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი: მოცემული რესურსების საფუძველზე განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა. თემის სათაურში მკაფიოდ ასახეთ სადისკუსიო თემა. თემა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ყველა მოცემულ რესურსს.
2. დაწერეთ გეგმა, რომლის მიხედვითაც წარმართავთ დისკუსიას;
3. დისკუსიაზე წამოჭრილი საკითხის (პრობლემის) დადებითი შედეგის წარმოსაჩენად მოიყვანეთ თითო-თითო ეკონომიკური და ეკოლოგიური ხასიათის არგუმენტი;
4. დისკუსიაზე წამოჭრილი საკითხის (პრობლემის) უარყოფითი შედეგის წარმოსაჩენად მოიყვანეთ თითო-თითო ეკონომიკური და ეკოლოგიური ხასიათის არგუმენტი.



დედამიწის ტყეები



ტყეების გაჩეხვა ქვეყნების მიხედვით ტყის საერთო ფართობებთან მიმართებაში (%, 2009 წ.)



დედამიწის ტყეების ფართობების ცვლილება (% წელიდაში, 2010 წ.)



ჩრდილოეთი ტყის სარტყელი	სამხრეთი ტყის სარტყელი
ზომიერ და, ნაწილობრივ, სუბტროპიკულ სარტყელში ვრცელდება და რუსეთის, დასავლეთ ევროპის, აშშ-ისა და კანადის ტერიტორიებს მოიცავს.	ტროპიკულ და ეკვატორულ სარტყელში ვრცელდება და სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ცენტრალური აფრიკისა და ლათინური ამერიკის ტერიტორიებს მოიცავს.
ფართობი: 2მლრდ ჰა	ფართობი: 2მლრდ ჰა
67% – წიწვიანი ჯიშები; 33% – ფოთლოვანი ჯიშები	50% – ფართოფოთლოვანი ნოტიო ტროპიკული ტყეები; 50% – ნათელი ტყეები და ბუჩქნარი
არამრავალფეროვანი ჯიშობრივი შემადგენლობა, მერქნის ნელი მატება (ზრდა), ინტენსიური განადგურება XVIII ს-დან XX ს-ის დასაწყისამდე	მრავალფეროვანი ჯიშობრივი შემადგენლობა, მერქნის სწრაფი მატება (ზრდა), ინტენსიური გამოყენება თანამედროვე პერიოდში



პასუხები:

1. ფასდება ადეკვატურად შერჩეული სადისკუსიო თემის სათაური.

სწორი პასუხის ნიმუში:

თემის სათაური: ტყის რესურსების გამოყენება – შედეგები და რისკები;

2. ფასდება რესურსების მიხედვით დისკუსიის წარმართვის ადეკვატურად დასახული გეგმა.

სწორი პასუხის ნიმუში:

დისკუსიის წარმართვის გეგმა:

- ❖ მსოფლიო ტყის რესურსების და მათი მნიშვნელობა;
- ❖ მსოფლიო ტყის რესურსების რაოდენობრივი შეფასება;
- ❖ დედამიწის ტყეები – ორი სარტყელი და მათი შეფასება;
- ❖ ტყის რესურსების გამოყენების პრობლემა;
- ❖ ტყის რესურსების რაციონალური გამოყენება.

3. ფასდება ნებისმიერი ადეკვატურად მოყვანილი დადებითი ეკონომიკური და ეკოლოგიური არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას და ესადაგება აღნიშნულ პრობლემას.

სწორი პასუხის ნიმუში:

დადებითი შედეგის ეკონომიკური და ეკოლოგიური ხასიათის არგუმენტები:

ა) ეკონომიკური – გვაწვდის ხე-ტყის მასალას, კვების პროდუქტებს, წარმოადგენს სათბობ რესურსს, იზრდება სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობები და სხვ.

ბ) ეკოლოგიური – აუმჯობესებს კლიმატს, ჟანგბადის წყარო, ნიადაგდაცვითი და წყალშემნახველი ფუნქცია; მცენარეების და ცხოველების საარსებო გარემო.

4. ფასდება ნებისმიერი ადეკვატურად მოყვანილი უარყოფითი ეკონომიკური და ეკოლოგიური არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას და ესადაგება აღნიშნულ პრობლემას.

სწორი პასუხის ნიმუში:

უარყოფითი შედეგის ეკონომიკური და ეკოლოგიური ხასიათის არგუმენტები:

ეკონომიკური – უკანონი ჭრა, ხე-ტყისაგან დამზადებული პროდუქტის შემცირება, ახალი ტყის მასივების გაშენება, ხანძრების ჩაქრობა და სხვ.

ეკოლოგიური – ტყეების ფართობების შემცირება, მეწყერების გააქტიურება, გაუდაბნოების ტემპების ზრდა, მცირდება ბიომრავალფეროვნება.

საერთაშორისო კვლევა

TIMSS 2011 – ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე მათემატიკაში

ია კუტალაძე
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევისა და საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TIMSS), მათემატიკაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასებასთან ერთად, იმ ფაქტორებს შეისწავლის, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა მიღწევებზე. კვლევის ფარგლებში, ხდება მათემატიკის სწავლისა და სწავლების ეროვნული, სოციალური და საგანმანათლებლო კონტექსტის ანალიზი. ამ მიზნით კვლევაში რამდენიმე კითხვარი იყო გამოყენებული: მათემატიკის სასწავლო გეგმის კითხვარი; მოსწავლის კითხვარი; მათემატიკის მასწავლებლის კითხვარი; სკოლის კითხვარი (დირექტორებისათვის). ამ კითხვარების საშუალებით შეიკრიბა კვლევისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, განისაზღვრა ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მათემატიკის სწავლა-სწავლების პროცესისათვის. ამჯერად სწორედ იმ ფაქტორების მოკლე აღწერას წარმოგიდგენთ.

ეროვნული და საზოგადოებრივი კონტექსტი. ქვეყანაში სახელმწიფო დონეზე განათლების პრიორიტეტულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯია. ყველაზე მაღალი შედეგების მქონე ქვეყნებს შორის განათლებაზე გაწეული ხარჯები მაღალია მთლიან შიდა პროდუქტთან ან სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში. საქართველოში განათლებაზე გამოყოფილი დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მხოლოდ ევროპის, განვითარებული ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებსა და ბალტიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, არამედ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების, ასევე, დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელსაც.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და განათლებაზე გაწეული ხარჯები გავლენას ახდენს საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობასა და, შესაბამისად, მოსწავლეთა მიღწევებზე.

მწირი შემოსავლისა და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების დიდი რაოდენობა ქვეყნის **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ინდიკატორად** შეიძლება მივიჩნიოთ; საქართველოში მოსწავლეთა **43-45%** სწავლობს სკოლებში, სადაც 25% ან მეტი ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახებიდანაა. TIMSS 2011-ის მიხედვით, **რაც უფრო ნაკლები მოსწავლეა სკოლაში ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახიდან, მით უფრო მაღალია მოსწავლის მიღწევის საშუალო მაჩვენებელი.**

დასაქმება და უმუშევრობა ასევე შეიძლება განვიხილოთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ინდიკატორად. საქართველოში კვლევაში ჩართულ მოსწავლეთა მშობლების დასაქმების მაჩვენებელი დაბალია. TIMSS 2011-ის მონაცემებით, მაგალითად, **მე-4 კლასელ მოსწავლეთა დაახლოებით 34% იმ ოჯახებიდანაა, სადაც არც ერთი მშობელი არ მუშაობს** *(1998 წლის შემდეგ უმუშევრობის დონე საქართველოში გაიზარდა – 12.4%-დან 16.3%-მდე, 2010 წლის მდგომარეობით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უმუშევრობის დონე კიდევ უფრო საგანგაშოა. მეტიც, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 16161 გამოკითხულიდან 67% თავს უმუშევრად მიიჩნევს (www.ndi.org). რასაკვირველია, ეს ციფრი არააქტიურ მუშახელსაც მოიცავს და ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც სამუშაოს არ ეძებენ).* ამასთან, იმ ბავშვების მიღწევები, რომელთა მშობლებიც სრულ ანაზღაურებად განაკვეთზე მუშაობენ, გაცილებით მაღალია, ვიდრე იმ ბავშვებისა, რომელთა მხოლოდ ერთი მშობელი მუშაობს ან ორივე მშობელი უმუშევარია.

მოსწავლეთა მიღწევებში დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის კულტურულ და სოციალურ ფაქტორებსაც. მათემატიკის სწავლებაზე გავლენას ახდენს **მოსახლეობის ღირებულებები** *(რამდენად აფასებენ მათემატიკას და მის მნიშვნელობას საზოგადოებაში),* დემოგრაფიული მახასიათებლები და მათემატიკის სწავლებისა და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნისთვის აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობა. თავის მხრივ, ქვეყნის ეროვნულ და საზოგადოებრივ კონტექსტს, ცხადია, მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია **მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისათვის ეფექტური კონტექსტის შექმნაზე, აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობასა და რაოდენობაზე.**

ოჯახის საგანმანთლებლო რესურსი. TIMSS 2011 ადასტურებს ოჯახის საგანმანთლებლო რესურსის *(მშობლების განათლება, მშობლების დასაქმება, წიგნების რაოდენობა ოჯახში, სახლში კომპიუტერისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და სხვა)* გავლენას მოსწავლეთა მიღწევებზე. საქართველოს შედეგების მიხედვით, მე-4 კლასში მოსწავლეებს, ოჯახის საგანმანათლებლო რესურსის მაღალი მაჩვენებლით, თითქმის 100-ქულიანი უპირატესობა აქვთ იმათთან შედარებით, ვისაც ოჯახის დაბალი საგანმანათლებლო რესურსი აქვთ; *მე-8 კლასში სხვაობა* 130 ქულას შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ოჯახის საგანმანათლებლო რესურსის მაღალი ინდექსი (რესურსების დიდი რაოდენობა) ქართველი მე-4 კლასელების 12%-ს აქვს, საშუალო – 80%-ს, დაბალი კი – 8%-ს. თითოეული კატეგორიისთვის მოსწავლეთა მიღწევები საგანმანათლებლო რესურსის ზრდის შესაბამისად მატულობს.

მოსწავლეთა შორის ოჯახის საგანამანათლებლო რესურსით გამოწვეული უთანაბრობა უნდა ბალანსდებოდეს სკოლის მაღალი საგანმანათლებლო რესურსითა და მხარდაჭერით.

მათემატიკასთან დაკავშირებული ადრეული აქტივობები. სკოლამდელი ასაკის ბავშვების მათემატიკური უნარები მნიშვნელოვნად იცვლება სხვადასხვა ქვეყნის ფარგლებში და ძლიერად უკავშირდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს (Clements& Sarama, 2009; West, Denton&Germino-Hausken, 2000). პატარები სახლსა და ბაღში მეტ-ნაკლებად სტრუქტურირებულ, ადრეული ასაკის შესაფერის მათემატიკურ აქტივობებში ერთვებიან, რაც მათი ინტერესის სტიმულირებასა და შესაძლებლობების განვითარებას ახდენს. ეს აქტივობები მოიცავს: კუბებითა და კონსტრუქტორებით თამაშს, თვლასთან დაკავშირებულ ლექსებსა და სიმღერებს, სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის შემცველი თამაშებით გართობას და სხვა ტიპის თამაშებს, რომლებიც რაოდენობრივ აზროვნებას საჭიროებს. *სოციალური კაპიტალის თეორიის მიხედვით,* განათლების სფეროში მოსწავლის წარმატების ძლიერ ინდიკატორს სახლსა და სკოლას შორის არსებული კავშირი წარმოადგენს. ამის მიზეზია ის, რომ „უკეთესად დაკავშირებული“ ოჯახები უფრო ეფექტურად უჭერენ მხარს შვილებს და ადეკვატურად ეხმარებინ დავალებების შესრულებაში. TIMSS 2011-ის შედეგები ცხადყოფს, რომ მშობლის მხარდაჭერა და ბავშვის განათლების ადრეული აქტივობები პოზიტიურად აისახება მოსწავლეთა მიღწევებზე.

TIMSS 2011-ის შედეგების მიხედვით, მოსწავლეებს, რომელთა სკოლაში შესვლისას კარგად განვითარებული ჰქონდათ მარტივი არითმეტიკული უნარები, 73-ქულიანი უპირატესობა აქვთ, მათთან შედარებით, ვისაც ნაკლებად ჰქონდა ეს უნარები განვითარებული. **საქართველოში** ეს სხვაობა შეადგენს 64 ქულას. თუ საერთაშორისო მონაცემებს გადავხედავთ, არის გამონაკლისებიც: მაგალითად, ჩრდილო ირლანდიაში მოსწავლეთა მხოლოდ 6% შედის სკოლაში კარგად განვითარებული არითმეტიკული უნარებით, თუმცა, მათემატიკაში მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიაში ჩრდილო ირლანდია მე-6 ადგილზეა აზიური ქვეყნების შემდეგ, რაც, სავარაუდოდ, იმითაა განპირობებული, რომ ამ ქვეყანაში სკოლა მაღალი საგანმანათლებლო რესურსით, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებითა და შესაბამისი მხარდაჭერით აბალანსებს ამ ხარვეზს.

სკოლამდელი განათლება. სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაწყებითი სკოლისთვის ბავშვების მზაობის ფორმირებაში. TIMSS 2011 წლის მონაცემებით, ქართველი ბავშვების დაახლოებით 78%-ს (3 წელი და მეტი – 42%, 1-დან სამ წლამდე – 29%, ერთ წელზე ნაკლები – 7%) მიღებული აქვს სკოლამდელი განათლება. მათი მიღწევის საშუალო მაჩვენებელი 455-დან 458-მდე ვარირებს. **საერთაშორისო მონაცემების მიხედვით, მკაფიოდაა გამოკვეთილი ტენდენცია, რომ რაც უფრო მეტი დრო გაატარა ბავშვმა საბავშვო ბაღში, მით უფრო მაღალია მისი მიღწევები.** რაც, სავარაუდოდ, მონაწილე ქვეყნების უმეტესობაში კარგად ორგანიზებული სკოლამდელი განათლების სისტემით შეიძლება აიხსნას.

სკოლის საგანმანათლებლო რესურსი. სკოლის საგანმანათლებლო რესურსი ხარისხიანი სწავლების ერთ-ერთ კრიტიკულ კომპონენტს წარმოადგენს. სასწავლო გეგმის შესრულებაზე ორი ტიპის რესურსი ახდენს გავლენას: ზოგადი სასკოლო რესურსი და საგანთან დაკავშირებული საგანმანათლებლო რესურსი. მწირი რესურსები სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას უშლის ხელს.

მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ რაც უფრო მეტი რესურსი აქვს სკოლას, მით უფრო მაღალია მოსწავლეების მიღწევის დონე. სასკოლო რესურსების რაოდენობა და ხარისხი სწავლების მაღალი დონის განმსაზღვრელი ელემენტებია (Greenwald, Hedges&Laine, 1996; Lee&Barro, 2001).

ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკები მასწავლებლებს მრავალფეროვანი რესურსის გამოყენებისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესების საშუალებას აძლევს. **საერთაშორისო მონაცემების მიხედვით** მათემატიკაში მიღწევის დონე პოზიტიურად უკავშირდება ბიბლიოთეკის ზომას. **საქართველოში** სკოლების მხოლოდ 2%-ში არ არის ბიბლიოთეკა. ამასთან, სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნების რაოდენობა **არ აისახება** ქართველ მოსწავლეთა მიღწევებზე მათემატიკაში.

კომპიუტერები სკოლაში. რადგან ინტერნეტის საშუალებით მრავალი სასწავლო მასალა გახდა ხელმისაწვდომი, კომპიუტერის სწავლების მიზნით გამოყენებამ შეიძლება ტექნოლოგიები სკოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსად აქციოს. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას კომპიუტერის გამოყენება დღითი დღე იზრდება. TIMSS 2011-ის მიხედვით, საერთაშორისო საშუალო შედეგთან მიმართებით, საქართველოში კომპიუტერების ხელმისაწვდომობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მე-4 კლასში სკოლაში კომპიუტერების გამოყენების შესაძლებლობა ქართველი მოსწავლეების 98%-ს აქვს, მე-8 კლასში კი – 99%-ს. წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) მონაცემების მიხედვით, 2005 წელს, მოსწავლეთა მხოლოდ 10%-სათვის იყო ხელმისაწვდომი კომპიუტერი. ამ თვალსაზრისით, საქართველოში ვითარება არსებითად შეცვლილია.

საერთაშორისო მონაცემების მიხედვით, იმ **მეოთხეკლასელებს,** რომელთა *სკოლებიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნოლოგიებით, 39-41 ქულით უფრო მაღალი შედეგები აქვთ მათემატიკაში, ვიდრე იმ მოსწავლეებს, რომელთა სკოლებში კომპიუტერები არ არის ხელმისაწვდომი.* **მერვეკლასელების** შემთხვევაში, სხვაობა უფრო დიდია და შეადგენს 71-76 ქულას. თუმცა სკოლაში **კომპიუტერის რაოდენობასა და მოსწავლეთა მიღწევებს** შორის კავშირის მკაფიო ტენდენცია არ იკვეთება, არც მე-4 და არც მე-8 კლასში.

საქართველოს შედეგის მიხედვით, იმ სკოლებში, სადაც კომპიუტერების რაოდენობა მეტია, მოსწავლეთა მიღწევები უფრო დაბალია.

კომპიუტერის ხელმისაწვდომობასა და მათემატიკაში საშუალო მიღწევას შორის ურთიერთკავშირის ინტერპრეტირება საკმაოდ რთულია, რადგან ის მჭიდრო **კავშირშია სოციალურ-ეკონომიკურ დონესა და სწავლების პრაქტიკასთან**. კომპიუტერზე ხელმისაწვდომობასთან ერთად, ცხადია, მნიშვნელოვანია მისი გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესის ხელშესაწყობად. **კომპიუტერების სწავლების პროცესში შეზღუდულ ან არაეფექტიან გამოყენებას განაპირობებს: ამ სფეროში მასწავლებელთა გადამზადებისა და მხარდაჭერის ნაკლებობა, სასწავლო გეგმის შესატყვისი კომპიუტერული პროგრამების ნაკლებობა**. კომპიუტერების გამოყენების გაზრდა შესაძლებელია საგანმანათლებლო მიზნებით ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფითაც.

მასწავლებლის სამუშაო პირობები. პედაგოგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგი სამუშაო პირობებით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ახერხებს ის სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას. TIMSS 2011-ში მასწავლებლები შემდეგი ტიპის სამუშაო პირობების შესახებ გამოიკითხნენ: სკოლის რემონტის საჭიროება; მოსწავლეთა რაოდენობით გადატვირთული საკლასო ოთახები; გადატვირთული სამუშაო გრაფიკი; არაადეკვატური სამუშაო ოთახი; არაადეკვატური სასწავლო მასალები.

საერთაშორისო მონაცემების მიხედვით, იმ მოსწავლეებმა, რომელთა მასწავლებლებსაც თითქმის არ ჰქონდათ სამუშაო პირობებთან დაკავშირებული პრობლემები, ყველაზე მაღალი შედეგები აჩვენეს როგორც მე-4, ისევე მე-8 კლასში; საქართველოში, როგორც მე-4, ისევე მე-8 კლასში, იმ მოსწავლეებმა, რომელთა მასწავლებლებსაც ზომიერი პრობლემები ჰქონდათ, აჯობეს ნაკლები პრობლემების მქონე პედაგოგთა მოსწავლეებს და მათაც, ვისი პედაგოგებიც მიუთითებენ, რომ სამუშაოსთან დაკავშირებული პრობლემები არ აქვთ.

თუ კომპლექსურად გავაანალიზებთ სასკოლო რესურსებსა (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები და სხვა) და მოსწავლეთა მიღწევებს შორის კავშირს, ვნახავთ, რომ საერთაშორისო ტენდენციების მიხედვით, სასკოლო რესურსების ნაკლებობა კავშირშია მოსწავლეთა მიღწევებთან.

სკოლის კლიმატი. მიღწევის მაღალი დონით გამორჩეული ბავშვები ჩვეულებრივ ისეთ სკოლებში სწავლობენ, რომლებშიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ: აკადემიურ წარმატებას, სასწავლო გეგმის ზუსტ მიზნებს, ეფექტურ მასწავლებლებს, მოსწავლეების სურვილს ისწავლონ კარგად და მშობლების მხარდაჭერას. პოზიტიურ სასკოლო გარემოში სკოლას აქვს ეფექტურად განსაზღვრული აკადემიური პროგრამა, ჰყავს მოსწავლეთა მიმართ დადებითი დამოკიდებულების მქონე თანამშრომლები, მასწავლებლები, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ თვითგანვითარებაზე. პოზიტიურ სასკოლო გარემოს აძლიერებს მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა. პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უსაფრთხო და მოწესრიგებულ გარემოს, ასევე, მმართველ გუნდს, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის კონსტრუქციულ ურთიერთობას, თითოეული მოსწავლისა და მასწავლებლის პატივისცემას; ამგვარი გარემო კი ხელს უწყობს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებას (Greenberg, Skidmore&Rhodes, 2004).

აკადემიური წარმატებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება. TIMSS-ში მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებასა და მიღწევას შორის საკმაოდ ძლიერი კავშირი დაფიქსირდა როგორც მე-4, ასევე მე-8 კლასებში. ეს ტენდენცია იკვეთება საქართველოშიც.

სასკოლო დისციპლინა და უსაფრთხოება. დისციპლინისა და უსაფრთხოების პრობლემები ხელს უშლის მიღწევის მაღალი დონის ფორმირებას. დაცულობის შეგრძნება ისეთ სკოლაში სწავლის შედეგად ჩნდება, რომელშიც ძალიან ცოტა ქცევითი და უსაფრთხოების პრობლემაა და, შესაბამისად, სტაბილური სასწავლო გარემოა. TIMSS 2011-ის შედეგებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ **რაც უფრო მეტადაა სკოლაში უსაფრთხოება და დისციპლინა დაცული, მით უფრო მაღალია მოსწავლეთა მიღწევები.** ქართველი მასწავლებლების უმრავლესობის აზრით, სასკოლო გარემო უსაფრთხო და მოწესრიგებულია.

ქართველი მასწავლებლები, უსაფრთხოებისა და დისციპლინის თვალსაზრისით, სკოლაში არსებულ ვითარებას უფრო პოზიტიურად აფასებენ, ვიდრე სკოლის დირექტორები, თუმცა უსაფრთხოების ინდექსი დირექტორების შეფასების შემთხვევაშიც საერთაშორისო საშუალოზე მაღალია.

აღსანიშნავია, რომ TIMSS 2007 წლიდან 2011 წლამდე, როგორც მე-4, ისევე მე-8 კლასში შეიმჩნევა უსაფრთხოების მაღალი ინდექსის მქონე სკოლების პროცენტული რაოდენობის კლების ტენდენცია.

მოსწავლეთა აბუჩად აგდება (ბულინგი). ზოგადად, აბუჩად აგდება გულისხმობს აგრესიულ ან ნეგატიურ ქცევას ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად ნაკლებად ძლიერი ადამიანის მიმართ (Caroll-Lind, 2009). სულ უფრო მეტი მონაცემი არსებობს იმის შესახებ, რომ აბუჩად აგდება სკოლებში საკმაოდ გახშირებულია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე.

მოსწავლეთა აბუჩად აგდების სიხშირე კავშირშია მოსწავლეთა დაბალ მიღწევებთან როგორც საერთაშორისო მონაცემების მიხედვით, ისევე საქართველოშიც.

ქართველი მეოთხეკლასელების 66% მიუთითებს, რომ თითქმის არასოდეს ან არასოდეს ყოფილა სკოლაში აბუჩად აგდების ობიექტი. ამ მონაცემით, საქართველო რეიტინგული სიის ერთ-ერთი ლიდერია (მხოლოდ სომხეთს, აზერბაიჯანსა და შვედეთს აქვთ უკეთესი შედეგი). იგივე ტენდენციები ფიქსირდება **მერვეკლასელთა** შემთხვევაშიც.

დასასრული შემდეგ ნომერში

ინფორმაცია

„ისევ ამწვანდა მდელო და კორდი“

ისევ ვესტუმრეთ დიდი გალაკტიონის მშობლიურ სახლს. ისევ ის სიყვარული და სითბო ტრიალებდა ირგვლივ... ისევ ხმიანებდა ეზო, სავსე იყო მისი პოეზიის თაყვანისმცემლებით. პოეტის ხსოვნას ჟამთასვლამ ვერაფერი დააკლო... თავისი „სწორუპოვარი ჩანგით“ თითოეული ქართველის გულში დაიდო ბინა და „უკვდავების ბინადარი“ გახდა.

უდიდეს მგოსანს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა აფხაზეთთან, ქართველ და აფხაზ მეგობრებთან. განსაკუთრებული მიდგომა ჰქონდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მიმართაც, რომელსაც ლექსებში და ყოველდღიურ ურთიერთობებში აქსოვდა. აფხაზეთსაც უყვარდა გალაკტიონი. უყვარდა და აფასებდა მას.

აფხაზეთისადმი უდიდესი სიყვარულის გამო კიდევ უფრო შეიყვარეს აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლეებმა გალაკტიონი. მისი პოეზია მათთვის უცნობი, მაგრამ მშობლიური აფხაზეთისადმი სიყვარულის გრძნობას ამძაფრებს.

აფხაზეთისადმი გალაკტიონის უდიდესმა სიყვარულმა და ურთიერთობებმა დააინტერესა დევნილი მოზარდები. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ და კინოცენტრმა „აფხაზეთმა“ გადავწყვიტეთ, 2012 წლის 17 ნოემბერს, ვანის გ. ტაბიძის სახ. №2 საჯარო სკოლის მიწვევით, მონაწილეობა მიგვეღო გალაკტიონის დაბადების დღისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულ „ჭყვიშობაში“. ვანის №2 საჯარო სკოლამ (დირექტორი – **ზურაბ ხელაძე**) ღირსეულად უმასპინძლა დევნილ მოზარდებს. მაშინ ჩაეყარა საფუძველი ვანის №2 და აფხაზეთის ა/რ №6 (დირექტორი – **ნონა წოწორია**) საჯარო სკოლების მეგობრობას.

2013 წელს პროექტი „მემშობლიურა აფხაზეთი ჩემი“ გაფართოვდა. მასში ჩავრთეთ: აფხაზეთის ა/რ №5 საჯარო სკოლის (დირექტორი – **ფოთოლა ბენდელიანი**) და ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი-2“-ის (ხელმძღვანელი – **თოვლია მიქავა**) მოსწავლეები და მოზარდები კომპაქტური ჩასახლებებიდან. მოუთმენლად ველოდით ჭყვიშში გამგზავრებას, სადაც მეგობრები, უამრავი სტუმარი და საყვარელი პოეტის მშობლიური სახლი გველოდა... და სადაც, როგორც დიდი პოეტი ბრძანებდა: „აქ, ჩემთა დღეთა აეშვა ფარდა“.

საქართველოს თითოეული კუთხე თავისებური ხიბლით მიაგებდა პატივს დიდი პოეტის ხსოვნას, მაგრამ აფხაზეთის მკვიდრმა მოზარდებმა განსაკუთრებული მუხტი შესძინეს ზეიმს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და მონაწილეობდნენ: აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მთავარი მრჩეველი, წიგნის „გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი“ ავტორი **ნატო კორსანტია**, განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნი **მედიკო კვარაცხელია**, მთავარი სპეციალისტი **სალომე თორია**, განათლების სამმართველოს უფროსი **ნინო ლობჟანიძე**, პროექტის ორგანიზატორები: **მანანა ქიმუცაძე, ლეილა ბაღბაია, ლეილა თორია** და **მედეა ზუხბაია**, პედაგოგები: **ნონა მესხი, ლუიზა ტაბიძე** და სხვ.

დაიწყო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლებმა, დამეგობრებული სკოლების მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა, ტრადიციისამებრ, ერთად შევამკეთ პოეტის ძეგლი გვირგვინით. შემდეგ სტუმრების წინაშე მასპინძელი, ვანის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები წარდგნენ საინტერესო პროგრამით. **ნინო მსხილაძემ, ვასილ ჩხორიძემ, თამარ ფაიჩიძემ, ელენე ბაღდავაძემ, მარი ერემეიშვილმა, მარიამ მხეიძემ** და **შოთა ავალიანმა** მხატვრული ოსტატობით წაიკითხეს გალაკტიონის ლექსები. სასიამოვნო მოსასმენი იყო პედაგოგების – **მზია ცხვარაძის, ნინო კელენჯელიძისა** და **ნათია დვალიშვილის** – მიერ გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე შექმნილი სიმღერა „მერი“. პროგრამა პედაგოგებმა – **ქეთინო ძაგნიძემ** და **ინული ადეიშვილმა** მოამზადეს.

მასპინძლები სტუმრებმა შეცვალეს. აფხაზეთის №5 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დიდი არტისტიზმით წაიკითხეს როგორც გალაკტიონის, ასევე მისადმი მიძღვნილი ლექსები. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მოსწავლეების – **დავით ბენდელიანისა** და **ავთანდილ კახიძის** – მიერ შესრულებული სიმღერა.

აფხაზეთის №6 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს (ხელმძღვანელი – **მაია ესართია**) – **მარიამ კურტანიძემ, გიორგი გოგოხიამ** და **ანა რამიშვილმა** მხატვრულად წაიკითხეს ლექსები და მსმენელთა მოწონება დაიმსახურეს. კომპოზიციაში ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი-2“-ის მოსწავლეები ჩაერთნენ – **ლადო ფალაურის, ოთარ უბილავას, გაგა თათარაშვილის, ავთანდილ გამცემლიძის,თორნიკე მანჯგალაძის, სერგი ჭანტურიძის, გელა ოთარაშვილისა და გული პაპავას** მიერ შესრულებულმა სიმღერებმა დღესასწაულის მონაწილეები მოხიბლა.

ღონისძიებამ მუზეუმის წინ გამართულ სცენაზე გადაინაცვლა. **სალომე თორიამ** შეკრებილ საზოგადოებას აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის, საქართველოს სახალხო არტისტის, ბატონი **დიმიტრი ჯაიანის** წერილი გააცნო, რომელშიც მინისტრმა დიდი სიყვარული და მოწიწება გამოხატა პოეტების მეფის – გალაკტიონისადმი. ხაზი გაუსვა პოეტის მიერ აფხაზეთისადმი მიძღვნილი ლექსების მნიშვნელობას სამშობლოდაკარგული მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის და განაცხადა, რომ ძალისხმევას არ დაიშურებს მომავალი თანამშრომლობისათვის.

პროექტის ყველაზე პატარა მონაწილემ, „ნიჭიერის“ ნახევარფინალისტმა **ანა ქაშიბაძემ** ჩვეული მომხიბლველობით წაიკითხა „მე და ღამე“. საინტერესოდ წარდგა მაყურებლის წინაშე №6 საჯარო სკოლის პედაგოგი, პოეტი **ირმა ქურასბედიანი.**

სცენაზე კვლავ იხმეს ხელოვნების სკოლის ფოლკლორული ანსამბლი. კიდევ ერთხელ ახმიანდა „ლალე“ და „ვარადა“, როგორც სიმბოლო ქართულ-აფხაზური მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა...

პროგრამის დამთავრების შემდეგ **სალომე თორიამ** მუზეუმს, №6 საჯარო სკოლის სახელით, საჩუქრად გადასცა პოეტის პორტრეტი მოსწავლეების მიერ ბისერებით შესრულებული. კალიგრაფმა ქალბატონმა **ლეილა ბაღბაიამ** გალაკტიონის ძმისშვილს, ბატონ **ნოდარ ტაბიძეს** კერამიკაზე შესრულებული პოეტის პორტრეტი გადასცა. მან დიდი სიამოვნებით აღნიშნა: *„ეს იქნება რელიქვია, რომელიც ჩემს კუთხეს დაამშვენებს“.*

მანანა ქიმუცაძე: *მიხარია, რომ „ჭყვიშობამ“ ჩვენი სკოლების მეგობრობას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც უკვე მეორე წელია გრძელდება. ჩვენმა მოსწავლეებმა დიდი სიხარულით მიიღეს მეგობრები. პროექტი გაფართოვდა, უფრო შინაარსიანი გახდა. აფხაზეთი უკეთ გავითავისეთ. მოსწავლეები უფრო ინტერესდებიან და ეცნობიან მას. გალაკტიონის სიყვარული აფხაზეთისადმი ჩვენც გადმოგვედო. ვეცდებით მოსწავლეებსაც გავუღვივოთ ეს გრძნობა, რომ მათი თანატოლების მსგავსად არც ისინი შეეგუონ მის დაკარგვას.*

ლეილა ბაღბაია: *აფხაზეთისადმი გალაკტიონის განსაკუთრებულმა სიყვარულმა განაპირობა დევნილი მოზარდების ინტერესი პროექტისადმი. მათ ბუმბერაზი პოეტი გაითავისეს, ღრმად გაეცნენ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. გაეცნენ მათთვის უცნობ ლექსებს აფხაზეთზე. ამ პროექტმა მოსწავლეებში უფრო განამტკიცა სამშობლოს ცნება, უფრო გაითავისეს „გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი“.*

ლეილა თორია: *პროექტის მონაწილეები საინტერესოდ წარდგნენ სახალხო დღესასწაულზე საზოგადოების წინაშე და მათი დიდი მოწონება დაიმსახურეს. მივესალმები პროექტის გაფართოებას. მიხარია, რომ სხვა საჯარო სკოლებიც ჩაერთნენ ზეიმში. იმედია, მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება.*

გიორგი გოგოხია, აფხაზეთის ა/რ №6 საჯარო სკოლის მოსწავლე: *მეორე წელია ვმონაწილეობ პროექტში. უფრო ღრმად ჩავწვდი გალაკტიონის შემოქმედებას. მოსწავლეებისთვის დიდი პატივია პოეტის დაბადების დღის აღნიშვნა მის მშობლიურ სოფელში, სადაც მთელი საქართველო იკრიბება მისი დიდების უკვდავსაყოფად.*

პროექტი დამთავრდა. მონაწილეები ერთმანეთს დაემშვიდობნენ იმ რწმენით, რომ მომავალი შეხვედრა გალაკტიონის უსაყვარლეს აფხაზეთში შედგება, სადაც მას სულ მუდამ მიეჩქარებოდა.

მედეა ზუხბაია

ინფორმაცია

ოქროსფერი შემოდგომა

15 ნოემბერი გავაზის საჯარო სკოლის (დირექტორის მ.შ. – **ლია ნონიაშვილი**) დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. I-IV კლასის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა (ორგანიზატორი – **ლელა კაპანაძე**) შემოდგომის დღესასწაული მოაწყვეს. სკოლის ფოიეში თითოეულმა კლასმა შემოდგომის ამსახველი ფოტოები და ხელნაკეთი ნივთები გამოფინა. შემოდგომის წითელ-ყვითელი ფოთლებით დაიფარა ირგვლივ ყველაფერი. ინგლისური ენის მასწავლებლის **ლელა კაპანაძის** და III კლასის დამრიგებლის **ნანა წაწიშვილის** ფანტაზიით წარმოდგენილმა ფაცხამ ყველა გაახალისა. აქ ნახავდით კახელი კაცის ქვევრ-მარნისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ნივთებს. ლამაზლამაზი დეკორაციებით იქნა გაფორმებული ყველა კლასის მიერ წარმოდგენილი კუთხე, სადაც მოსწავლეებმა სტუმრებს შესთავაზეს ხილი და ბოსტნეული: ყურძნის აკიდოები, სიმინდის ტაროები, ნივრის და ხახვის გალები, ვაშლი და მსხალი, გოგრა და ბროწეული, ხის ტაბაკზე დაწყობილი ახალი შოთი და ხელადით შავი ღვინო. საკუთარი ხელით გავლებულმა ჩურჩხელებმა უფრო მეტი ხალისი შემატა პატარებს.

პატარების გვერდით აქტიურობდნენ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები, რომლებიც მეგობრულად ედგნენ გვერდში მათ და ეხმარებოდნენ ღონისძიების მსვლელობისას. ასევე სიხარულს და აღფრთოვანებას ვერ მალავდა სკოლის ამერიკელი მოხალისე მასწავლებელი **ნორა მაქიი**, რომელმაც მოსწავლეების დახმარებით სკოლის ფოიეში სპეციალურად დამზადებული ფერად-ფერადი გამხმარი ფოთლები გამოფინა და სკოლის შემოსასვლელი დაამშვენა.

პატარებმა ძალიან იხალისეს, წაიკითხეს ლექსები შემოდგომაზე, იმღერეს და იცეკვეს, წარმოადგინეს მცირე სცენები. ყველამ დიდი კმაყოფილება გამოთქვა ამ ლამაზი ღონისძიების შესახებ.

სოფიკო გიორგაშვილი
ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე

სასიკეთო სიახლე

„სიტყვაზე ძლიერი იარაღი არც ერთ შემოქმედს არ სჭერია ხელში“, – უთქვამს მწერალს და ვფიქრობ, პირველ რიგში, სიტყვიერების მასწავლებელია შემოქმედი და მისი მთავარი იარაღი სწორედ სიტყვაა. საჩხერეში ახლახან ჩატარებულმა ტრენინგმა კიდევ ერთ რამეში დამარწმუნა, თუ ისტ-ის საშუალებით გაკვეთილებზე პროექტებით სწავლებას დაამკვიდრებ, სიტყვა იძენს დამატებით ხიბლს; ვიზუალური მასალა ამრავალფეროვნებს, ამდიდრებს შერჩეულ თემატიკას, მოსწავლეებს აჩვევს კვლევა-ძიებას; დამოუკიდებელს, კრიტიკულს, კომუნიკაბელურს ხდის მათ და ხელს უწყობს წიგნიერების დონის ამაღლებას.

ვფიქრობ, საქართველოში ყველა სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება უნდა ჩაერთოს პროექტებით სწავლებაში, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში უნარ-ჩვევების განვითარებას.

ტრენინგის მონაწილეთა სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს ტრენერს, ენერგიულ, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებულ ქალბატონ **შორენა ბადურაშვილს** გაწეული გარჯისათვის, ასე თავგამოდებით რომ ცდილობს სასიკეთო სიახლის დანერგვას. ეს იყო საოცრად ნაყოფიერი, მეტად საჭირო, საინტერესო ტრენინგი, რომელიც ოდესმე მომისმენია და რომელმაც დაგვარწმუნა: წარმოუდგენელია დღეს მოზარდს განუვითარო სტანდარტით გათვალისწინებული, მყარი, XXI საუკუნისათვის ასე საჭირო უნარ-ჩვევები პროექტ-გაკვეთილების გარეშე (რა თქმა უნდა, ისტ-ის გამოყენებით).

მადლობა „ელიტელს“ ასეთი შინაარსიანი პროექტის შემოთავაზებისათვის: სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებლები ვუერთდებით ამ სასიკეთო გამოწვევას.

ნუნუ გოგოლიძე
საჩხერის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

კრიმინალისტიკის ლაბორატორია ტექნიკურ უნივერსიტეტში

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირება დაიწყო კრიმინალისტიკის ლაბორატორიამ, რომლის ანალოგი ამიერკავკასიაში არ არსებობს. სტუდენტებისთვის განკუთვნილი თანამედროვე ლაბორატორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ალექსი ბატიაშვილმა** მოინახულეს.

კრიმინალისტიკის ლაბორატორიის შექმნისა და ფუნქციონირების აუცილებლობა იმ ფაქტორმა განაპირობა, რომ ბოლო წლებში დანაშაულის გახსნისა და გამოძიების პროცესში კრიმინალისტიკური ტექნიკა, ტაქტიკა და მეთოდოლოგია ნაკლებად გამოიყენებოდა. ამის შედეგად, სასწავლო დაწესებულებებში შემცირდა ინტერესი კრიმინალისტიკის მიმართ და ერთ დროს სტუდენტისათვის მეტად საინტერესო და მიმზიდველმა საგანმა მეორე პლანზე გადაინაცვლა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სტუ-ს აკადემიურმა საბჭომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, მიიღო გადაწყვეტილება, სამართლის დეპარტამენტში შექმნილიყო კრიმინალისტიკის თანამედროვე ლაბორატორია, რისთვისაც 70 000 ლარი გამოიყო. ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანადგომით გახდა შესაძლებელი და იგი ანალოგიურია აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს კრიმინალისტიკის ლაბორატორიაში არსებული აღჭურვილობისა.

ლაბორატორიის დანიშნულებაა:

– საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კრიმინალისტიკის კურსის თეორიული სწავლებით მიღებული ცოდნის გაღრმავება, ლაბორატორიული კვლევებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით;

– პროფესიული სწავლების საფეხურით ჩარიცხულ სტუდენტთა მომზადება კრიმინალისტიკის სპეციალობით;

– სხვა სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, სპეციალური ლაბორატორიული კვლევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების თვალსაზრისით.

ღონისძიების ფარგლებში, სტუმრებმა დაათვალიერეს სასამართლო დარბაზი იმიტირებული პროცესების ჩასატარებლად და სამართლის კლინიკა, სადაც სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთაც შესაბამისი ცოდნა აქვთ, იურიდიულ საკითხებზე კონსულტაციას უწევენ იძულებით გადაადგილებულ პირებს და ტექნიკური უნივერსიტეტის მომსახურე პერსონალს.

პროფესიული განათლების სექტორში ხარისხის გაძლიერებისათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით, 2012 წლის სექტემბრიდან, ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ხარისხის უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“. აღნიშნული პროექტის განმახორციელებელია იტალიური ორგანიზაცია „IFOA“.

გაიმართა პროექტის დასკვნითი კონფერენცია, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** და პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელმა **თომას ბლექმა** გახსნეს. კონფერენციაზე შეჯამდა პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები და წარმოდგენილ იქნა სასწავლო ფილმი მოდულური პროგრამების შემუშავების თაობაზე.

პროექტის ფარგლებში:

– შემუშავდა პროფესიული განათლების ახალი სტრატეგია 2013-2020 წლებისთვის;

– ევროპული ე.წ. DACUM-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, გადაიხედა პროფესიული სტანდარტები თხუთმეტ მიმართულებაში;

– შემუშავდა მოდულურ პროგრამაზე გადასვლის კონცეფცია და დამხმარე მასალები;

– დამსაქმებელთა უშუალო მონაწილეობით, შემუშავდა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების გზამკვლევი და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარები;

– შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოები როგორც თვითშეფასებისთვის, ასევე გარე შეფასებისთვის და სხვ.

პროექტი, ასევე ითვალისწინებდა პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული პირების გადამზადებას თითოეული მიმართულებით. მთლიანობაში, გადამზადდა პროფესიული სასწავლებლებისა და ორგანიზაციების 1000-ზე მეტი წარმომადგენელი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ევროკავშირისა და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლები.

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი

ერთი ცალის ფასი – 6.5 ლარი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ფორმები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. ხილ-ბოსტნეული
8. ტანსაცმელი
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ზღვის ბინადრები
12. ინგლისური ანბანი
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი – 2.5 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. მსოფლიოს რელიგიები
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. ქართული ხალხური საკრავები
4. ძვეწარმავლები საქართველოში
5. საქართველოს მცენარეები
6. ადამიანის კუნთოვანი სისტემა
7. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
8. ძველი რომი
9. ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
10. სამყაროს წარმოქმნა
11. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი – 3 ლარი

ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I-V ტომი, – 11 ლარი

v მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I-VII ტომი – 11 ლარი

❖ ლევან გოთუა (7-ტომეული)
I-II ტომი – 16 ლარი

❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)
I-II ტომი – 15 ლარი

❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),
I, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
IV-V ტომი –18 ლარი

❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I-VI ტომი – 12 ლარი

❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I-VII ტომი –12 ლარი

❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული),
I-V ტომი – 12 ლარი

❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I-X ტომი – 12 ლარი

❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I-VI ტომი – 10 ლარი

❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. რუსთაველი
20. თეიმურაზ I
21. ვახტანგ VI
22. გიორგი მერჩულე
23. გრიგოლ ორბელიანი
24. დავით ალმაშენებელი
25. გრიგოლ რობაქიძე

ერთი ცალის ფასი – 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა

ნიგნის თარო

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი** ახალი
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა** ახალი
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები** ახალი
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**

რა არის რა

თითო ტომის ფასი – 9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
9 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი
10 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ბიოლოგია
კონსპექტი საატესტატო გამოცდისთვის
მ. მაყაშვილი
ფასი – 3.50 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 7.50 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია
XI–XII კლასები,
კონსპექტი საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე
ფასი – 6.50 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

დიოგენე

გამომცემლობა დიოგენე

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK